გამოცემის 102-ე წელი

# აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№96 (24.976) სამშაბათი, 6 - 7 სექტემბერი, 2022 წ. 50 თეთრი


### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ქარი – 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 22-27, მაღალ მთაში - 13-18 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 28 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დღეს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-7 სხდომაში მიიღებს მონაწილეობას. სამთავრობო დელეგაცია, მთავრობის მეთაურის ხელმძღვანელობით, ბრიუსელში გუშინ გაემგზავრა. ვიზიტის ფარგლებში, პრემიერი მაღალი დონის შეხვედრებს გამართავს.

* * *

საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს ევროკავშირის ელჩმა საქართველოში პაველ ჰერჩინსკიმ რწმუნებათა სიგელები გადასცა. ორბელიანების სასახლეში რწმუნებათა სიგელების გადაცემის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ, პრეზიდენტმა ელჩთან პირისპირ შეხვედრა გამართა. საუბარი შეეხო საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს. სალომე ზურაბიშვილმა ევროკავშირის ახალ ელჩს წარმატებული საქმიანობა უსურვა.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტთან მომუშავე დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრა მიზნად ისახავდა დონორი და პარტნიორი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესებას, არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფას და პარლამენტის შესაძლებლობების გაძლიერების მხრივ, შემდგომი ნაბიჯების ერთობლივად დაგეგმვას.

* * *

თუ პარლამენტს დავტოვებთ, ვადამდელ არჩევნებს ვერასოდეს მივიღებთ, - ამის შესახებ „ლელოს“ დეპუტატმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რითაც ვადამდელ არჩევნებზე „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ნიკა მელიას განცხადებას გამოეხმაურა. მისი თქმით, ვადამდელ არჩევნებს სერიოზული მუშაობა სჭირდება იმისთვის, რომ მოსახლეობამ მისი აუცილებლობა დაინახოს. „პარლამენტიდან სადმე წასვლა და ვადამდელი არჩევნების მომწიფება არ მგონია მთლად სწორი პოზიცია იყოს. საჭიროა მუშაობა, რადგან საბოლოო გადაწყვეტილებები პარლამენტში მიიღება,“ - განაცხადა უსუფაშვილმა.

* * *

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია, ვიცე-სპიკერ ლევან იოსელიანის და „მოქალაქეების“ თავმჯდომარის ალეკო ელისაშვილის მონაწილეობით, პოლონეთს ეწვია. ვიზიტის მიზანია პოლონეთის თავდაცვის პოლიტიკის სტრატეგიის და პლურალისტურ გარემოში მუშაობის გამოცდილების გაზიარება. დაგეგმილია თავდაცვის ინდუსტრიის საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა.

მოამზადა
ია შველიძემ

# ბათუმში ევროპის ინოვაციების აკადემიის ბანაკი იმართება




***ევროპის ინოვაციების აკადემიის „ინოვაციისა და ლიდერობის ბანაკი“ ბათუმში აჭარის მთავრობის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით ხორციელდება.*** საერთაშორისო ბანაკში სტუდენტები 11 ქვეყნიდან არიან წარმოდგენილი. სასწავლო პროგრამას წარმართავენ კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის და სილიკონის ველის სხვადასხვა წამყვანი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ევროპის ინოვაციის აკადემია (EIA) მსოფლიოს უმსხვილესი სამეწარმეო პროგრამაა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. იგი შემუშავებულია კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის, სტენფორდის უნივერსიტეტის პედაგოგების, ასევე Google-ს, Facebook-ის და სილიკონის ველის წამყვანი ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მხარდაჭერით.

პროგრამა საქართველოში კავკასიის უნივერსიტეტთან, აშშ-ის ბაზარზე წვდომის ცენტრთან (USMAC) და Startup Connect-თან პარტნიორობით ტარდება.

მსოფლიოს უმსხვილეს სამეწარმეო პროგრამაში წელს ასი სტუდენტი მონაწილეობს, მომავალ წელს კი ბანაკში სამასამდე ახალგაზრდა ჩაერთვება.

სტუდენტებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ. როგორც მან აღნიშნა, მსგავსი საერთაშორისო მასშტაბის საზაფხულო სკოლები მნიშვნელოვანია აჭარის, ბათუმის პოზიციონირებისთვის და სტუდენტების განათლების ხელშეწყობისთვის.

ანკა ჩხიკვაძე

# „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მშენებლობა დაიწყო



***ბათუმში ხელოვნური კუნძულის პროექტი იწყება.***

უმსხვილესი საინვესტიციო პროექტი - „ამბასადორი ბათუმი აილენდი“ ულტრათანამედროვე გასართობ-გამაჯანსაღებელი ტიპის ორი ხელოვნური ნახევარკუნძულისა და ერთი კუნძულის შექმნასა და მათზე ინფრასტრუქტურის მოწყობას მოიცავს. პროექტის ფარგლებში თანამედროვე სტანდარტების კომერციული, გასართობი, სპორტული, საგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელ-სამკურნალო, საცხოვრებელი და ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურა აშენდება. პროექტი მთლიანად კერძო ინვესტიციით ხორციელდება. „ამბასადორი ჯგუფი“ პროექტის პირველი ფაზის განსახორციელებლად 100 მილიონი დოლარის ინვესტიციას ჩადებს. მშენებლობაზე 2000 ადამიანი დასაქმდება.

„ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მშენებლობის კაფსულის ჩაგდების ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პროექტს უნიკალური და მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი უწოდა, რომელიც რეგიონში გამორჩეული იქნება.

„ეს არის პროექტი, რომელიც მოიცავს ორ ხელოვნურ ნახევარკუნძულს, ასევე აშენდება ერთი კუნძული, რომელიც გააერთიანებს გასართობ-გამაჯანსაღებელ, სპორტულ, საგანმანათლებლო, კომერციულ, საცხოვრებელ, ტურისტულ მიმართულებებს. დარწმუნებული ვარ, რომ რეგიონში უმსხვილესი საინვესტიციო პროექტი ხელს შეუწყობს ბათუმის ისედაც ძლიერი საერთაშორისო რეპუტაციის ზრდას და აჭარის ეკონომიკურ წინსვლას. მინდა მივესალმო პროექტის ინიციატორს და ჩვენს ინვესტორს, „ამბასადორი ჯგუფის“ ხელმძღვანელს, ბატონ ქებურიას და მის ოჯახს, მადლობა გადავუხადო „ამბასადორი ჯგუფს“, ვინაიდან ამ კომპანიას მრავალი ათეული მილიონი დოლარის ინვესტიცია აქვს უკვე განხორციელებული და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, უნიკალური პროექტები აქვთ შექმნილი... მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, კომპანიამ და მისმა დამფუძნებელმა, ყველა პროცედურა გაიარეს, ჩაატარეს ამ პროექტის ექსპერტიზა, ჩართული ჰყავდათ შესაბამისი კვლევითი ინსტიტუტები და უმაღლესი კლასის პროფესიონალები. მინდა ვთქვა, რომ ეს პროექტი შეესაბამება ეკოლოგიურ და უსაფრთხოების სტანდარტებს... დღეს ჩვენს ქვეყანას სწორედ ასეთი პროექტების განხორციელება სჭირდება, ძლიერი ეკონომიკური წინსვლა და პროგრესი, რაც, რა თქმა უნდა, შექმნის უფრო მეტ სამუშაო ადგილს,

იხ. მე-2 გვ.

## ამჟამად უმეტესად ვინ ინფიცირდება კორონავირუსით?

4

## ნინო ქადაგიძე: მასწავლებლობა ალესილი დანის პირზე სიარულს ჰგავს

5


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:
577 20 43 55.



დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

აჭარა 101

# მაია ხაჯიშვილმა World Vision Georgia-ს წარმომადგენლები მიიღო

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა World Vision Georgia-ს აღმასრულებელი დირექტორი ეკა გურგენიძე და ორგანიზაციის წარმომადგენლები მიიღო*

საუბარი ბათუმში საჯარო სკოლებში უკრაინულ სექტორთან მიმართებაში არსებულ დახმარებას შეეხო. სამინისტრომ გამოკვეთა მიმართულებები, სადაც შესაძლებელია თანამშრომლობა: სასწავლო პროცესის წარმართვა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა გაძლიერება, მათი ფსიქო-სოციალური დახმარება, ასევე, მოსწავლეების და მათი ოჯახების გაძლიერების შესაძლებლობები.



# „კოლხეთი“ – საერთაშორისო ფესტივალზე

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

*ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ხელვაჩაურის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან“ არსებულმა ანსამბლმა „კოლხეთმა“ ოპოზნოს მუნიციპალური საზოგადოებრივი ცენტრის მიერ ორგანიზებულ VIII საერთაშორისო ფესტივალ „OPOCZNO 2022“-ში მიიღო მონაწილეობა*

ფესტივალი მრავალწლიანი შესვენების შემდეგ, წელს მერვედ გაიმართა და მასში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. პირველ დღეს მოეწყო აღლუმი, პრესკონფერენცია და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ოფიციალური შეხვედრა. დღის ბოლოს გაიმართა გახსნითი კონცერტი.

ფესტივალის ფარგლებში, ანსამბლმა „კოლხეთმა“ გამართა „ქართული დღეები“, წარმოადგინეს ქართული კულტურა, ტრადიციები, კულინარია, ქორეოგრაფია. „OPOCZNO 2022“-ში ანსამბლი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფინანსური მხარდაჭერით მონაწილეობს.



# რეზო ხარაზი: აჭარაში სოციალური მდგომარეობა მძიმეა

„ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში გამართული ბრიფინგის თემა პროდუქტებზე მომატებული ფასები იყო. ბათუმის საკრებულოს წევრმა „ნაციონალური მოძრაობიდან“ რეზო ხარაზმა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები წარადგინა, რომელშიც პროდუქტების გაძვირებაა ასახული. საკრებულოს წევრის განმარტებით, ეს რეალობა ეკონომიკური ზრდის შესახებ გაკეთებულ განცხადებებს აბათილებს, რადგან გაძვირების პროპორციულად, მოქალაქეების შემოსავლები არ იზრდება.

ოპოზიციის ვარაუდით, პროდუქტების ფასი აჭარაში სხვა რეგიონებთან შედარებით გაიზარდა, რადგან ტურისტულ სეზონზე, საქსტატის მონაცემებით, საკვების ფასები წინა თვესთან შედარებითაც კი მაღალია.



- ამ მნიშვნელოვან დოკუმენტში მძიმე სოციალური მდგომარეობა არის ასახული: სურსათზე, საწვავზე, წყალსა და ა. შ. ფიქსირდება ფასების ზრდა. „საქსტატი“ ეკონომიკაში მძიმე რეალობას ასახავს. უფრო მძიმე მდგომარეობაა საზოგადოებაში. აჭარის მთავრობის განცხადებებს თუ გადავხედავთ, იგი რეალობას აცდენილია. 15,8 პროცენტით არის გაზრდილი სხვადასხვა სასურსათო პროდუქტზე ფასები. ამ ფონზე „ქართული ოცნება“ ხელისუფლებიდან უნდა წავიდეს და მოვიდეს ხელისუფლება, რომელიც ჩვენი თანაქალაქელების ცხოვრების გაუმჯობესებაზე იზრუნებს. აჭარაში სოციალური მდგომარეობა მძიმეა და ამ ყველაფერს იწვევს ბიუჯეტის არასწორი ხარჯვა, ის თანხები, რომელიც ხალხისკენ უნდა იყოს მიმართული, მიდის ბიძინა ივანიშვილსა და „ქართული ოცნების“ წევრების ოჯახებისკენ, - განაცხადა რეზო ხარაზმა.

ანკა ჩხიკვაძე

# „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მშენებლობა დაიწყო

პირველი გვერდიდან

მეტ შემოსავალს, დოვლათს და მეტ კეთილდღეობას მოუტანს ჩვენს მოქალაქეებს. ეს არის ჩვენი საერთო სურვილი, ამოცანა და ოცნება“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ უპრეცედენტო ინფრასტრუქტურული პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ იგი თავისი მასშტაბით საერთაშორისო მსოფლიო კლასის ახალი ტურისტული მიმართულებაა.

„დღეს ჩვენ ყველა ერთად ვიწყებთ რეგიონისთვის და შეიძლება ითქვას, მთელი ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტურისტული და ინფრასტრუქტურული პროექტის მშენებლობას, პროექტის, რომელიც როგორც რეგიონის, ასევე ქვეყნის ტურიზმის განვითარებას ახალ ეტაპზე გადაიყვანს. დღიდან პროექტის დაანონსებისა ბევრს არ სჯეროდა, ბევრი სკეპტიციზმი მოვისმინეთ, თუმცა, საერთაშორისო კომპანიების მხრიდან ძალიან დიდი ნდობის, პროექტის მიმართ ინვესტორის თავდადების გათვალისწინებით, ეს პროექტი აუცილებლად წარმატებით დასრულდება და თავის სიტყვას იტყვის როგორც ჩვენი რეგიონის, ასევე ქვეყნის განვითარებაში. ეს არის პროექტი, რომელიც თავისი მასშტაბით საერთაშორისო მსოფლიო კლასის ახალი ტურისტული მიმართულებაა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ პროექტის მიმდინარეობისას, როგორც რეგიონში, ასევე მთელ მსოფლიოში, არაერთხელ, ძალიან კარგად ისაუბრებენ მასზე და პროექტიდან გამომდინარე, ჩვენს ქალაქზე, რეგიონზე, ქვეყანაზე.

წელს გვქონდა რეკორდული წელი, შეიძლება ითქვას, ისტორიული მაჩვენებელი ტურიზმის აღდგენის მიმართულებით და ამ დადებით ტენდენციას სჭირდება გაგრძელება, კიდევ უფრო მეტი ამბიცია, კიდევ უფრო მეტი შრომა, და ჩვენ, ყველანი, მზად ვართ, ყოველდღიურად ვიშრომოთ ამ ძალიან დიდი სამეწარმეო მუხტის მატარებელ ხალხთან ერთად, რომ ახალი პროექტები შევქმნათ.

განსაკუთრებით გამოვარჩევდი ამ პროექტის მნიშვნელობას ჩვენი ბათუმისთვის და ბათუმელებისთვის. იგი შექმნის 2000 ახალ სამუშაო ადგილს და სტაბილურ შემოსავალს მისცემს ძალიან ბევრ ოჯახს. მინდა გითხრათ, რომ ამაზე არ გავჩერდებით. არაერთ მნიშვნელოვან ინიციატივას ვგეგმავთ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად.

ბათუმი უკვე მეორედაა წარდგენილი პრესტიჟულ ე.წ. ტურიზმის ოსკარზე, რომლის შედეგებსაც პირველ ოქტომბერს გავიგებთ.

დარწმუნებული ვარ, ჩვენ კიდევ ბევრ გამარჯვებას ვიზეიმებთ“, - განაცხადა აჭარის მთავრობის მეთაურმა.

პროექტის პრეზენტაციაზე მიწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ თანადამფუძნებელმა ფრიდონ ქათამაძემ.

ღონისძიებას აღმასრულებელი, საკანონმდებლო, ადგილობრივი ხელისუფლებისა და „ამბასადორი ჯგუფის“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ელენე საყვარელიძე

# „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით...

როგორც თვითმხილველებმა სააგენტოს განუცხადეს, ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე ე. წ. რუსულ სკოლაში გუშინ საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლები იმყოფებოდნენ.

მათი თქმით, სასწავლო დაწესებულებაში მოზარდები არიან და სწავლის პროცესი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.

მედიის წარმომადგენლებმა სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან გასაუბრება სცადეს, თუმცა მათ კომენტარისგან თავი შეიკავეს.

აღსანიშნავია, რომ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა განაცხადა, რომ ბათუმში ე. წ. რუსული სკოლის გასახსნელად საჭირო აკრედიტაციის მისაღებად სამინისტროსა და რესურსცენტრში დოკუმენტაცია შესული არ არის.



მინისტრის თქმით, თუ კანონმდებლობის დარღვევა დაფიქსირდება, სამინისტრო კანონის შესაბამისად იმოქმედებს.

როგორც ცნობილია, საგამოძიებო სამსახურმა უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

ამირან გურიელიძე

## ამბები

### შაბათ-კვირის ქრონიკა

სამხედრო პატივით დაკრძალეს ბათუმში პირველი რანგის კაპიტანი გენადი ხაიდაროვი. საქართველოს სამხედრო საზღვაო ძალების და შავი ზღვის საერთაშორისო სამხედრო საზღვაო ძალების სარდალს საზოგადოება ბათუმის საზღვაო სადგურში გამოემშვიდობა. გენადი ხაიდაროვი 48 წელი ემსახურებოდა საზღვაო სფეროს. იგი საქართველოს სამხედრო საზღვაო აკადემიასაც ხელმძღვანელობდა. მან განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის კურსანტების არაერთი თაობის აღზრდაში. ხაიდაროვს იცნობდნენ როგორც საერთაშორისო საზღვაო ექსპერტსაც. იგი საპატიო ყარაულის თანხლებით, გემების სიგნალით გააცილეს.

* * *

ბათუმში „ანტიკორუფციული მოძრაობა“ დაფუძნდა. საზოგადოებრივ გაერთიანებაში გაწევრიანებული არიან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები და აქტივისტები. როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, მოძრაობის მიზანი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და კორუმპირებული ჩინოვნიკების მხილებაა. „ანტიკორუფციული მოძრაობა“ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ფუნქციონირებს. აჭარა-გურიის ოფისებს ლევან გორგილაძე და ლაშა ხოზრევანიძე უხელმძღვანელებენ.

* * *

ბათუმში სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის სპორტული ცენტრი გაიხსნა. აქ ბავშვები სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში ჩაერთვებიან. სპორტულ სექციაში ამ ეტაპისთვის 20 მოზარდია, მათთან საგანგებოდ მოწვეული მწვრთნელები იმუშავებენ, ასევე, ბავშვებზე ექიმი და ფსიქოლოგი იზრუნებენ. სპორტული ცენტრის ხელმძღვანელებმა ბავშვებს სპორტული ინვენტარი, მედლები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს.

* * *

ხელოვნების მუზეუმში თვითნასწავლი მხატვრის მაია ჭოჭუას პერსონალური გამოფენა გაიმართა. ხელოვანს საგამოფენო სივრცეში 30-მდე ექსპონატი ჰქონდა წარმოდგენილი, მათ შორის, პეიზაჟები, ნატურმორტები, პორტრეტები, ასევე, ჟანრული სცენები და აბსტრაქტული კომპოზიციები.

* * *

ბათუმში საერთაშორისო ახალგაზრდული ტურნირი „ატეიტისის თასი“ დაიწყო. ბათუმის „დინამოს“ არენაზე 6-მდე ქვეყნის 80-ზე მეტი საფეხბურთო გუნდი ერთი თვის განმავლობაში ითამაშებს. ტურნირში 6 ასაკობრივი კატეგორია მონაწილეობს. საფეხბურთო ტურნირს, რომელსაც ლიტვის ფედერაცია 12 წელია ატარებს, ბათუმი პირველად მასპინძლობს.

* * *

ეროვნული ლიგა 2-ის გათამაშებაში ქობულეთის „შუქურამ“ გასვლით თამაშში თბილისის „მერანი“ 0-1 დაამარცხა. მატჩში ერთადერთი გოლი მე-12 წუთზე მიშიკო სარდალიშვილმა გაიტანა. ამ დროისთვის „შუქურას“ ლიგა 2-ის გათამაშებაში 38 ქულა აქვს და პირველ ადგილზე იმყოფება. ქობულეთის „შუქურა“ მომდევნო ტურში 10 სექტემბერს „ჩელე არენაზე“ „სპაერს“ დაუპირისპირდება.

მოამზადა
ნათია იმნაიშვილმა

# უცხო ქვეყნის მოქალაქეები საზღვაო მიმართულებით სერტიფიკატს საქართველოში ველარ მიიღებენ

**ნათია იმნაიშვილი 27 48 93**

*უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც საქართველოს საზღვაო სასწავლებელს დაამთავრებს, საქართველოში კომპეტენციის სერტიფიკატის მიღებას ვეღარ შეძლებს. შესაბამისი ცვლილებები პარლამენტს მთავრობამ წარუდგინა*



კანონპროექტში აღნიშნულია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში კომპეტენციის სერტიფიკატის აღება აეკრძალებათ, თუმცა დაშვებული იქნება გამონაკლისი უცხო ქვეყნის იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც 2022 წლის პირველი სექტემბრისთვის სწავლობენ საქართველოს საზღვაო სასწავლებლებში. პროექტით ზუსტდება, რომ მათ საშუალება ექნებათ, მიიღონ კომპეტენციის/კვალიფიკაციის სერტიფიკატი. ასევე, კანონპროექტით კონკრეტდება ისიც, რომ უცხო ქვეყნის ის მეზღვაურები, რომელთაც საქართველოში უკვე აღებული აქვთ კომპეტენციის სერტიფიკატი, ან 2022 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით შესაბამისი საზღვაო განათლება მიღებული აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე, ამ კანონის საფუძველზე, მათ უფლება ექნებათ, საქართველოში მიიღონ/განაახლონ კომპეტენციის/კვალიფიკაციის სერტიფიკატი. მთავრობა აღნიშნული ცვლილებების მიზეზს განმარტავს.

კანონპროექტში აღნიშნულია, რომ საქართველოს საზღვაო სასწავლო დაწესებულებებში უფლება აქვთ ისწავლონ როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა, რადგან საზღვაო პროფესია მიეკუთვნება რეგულირებად პროფესიას, თუმცა საქართველოში 2020 წლიდან საზღვაო სასწავლებლებმა შემოიღეს ინგლისურენოვანი უმაღლესი სასწავლო პროგრამები, რომლებზეც დაშვების წინაპირობა არის არა ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარება უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის, არამედ ინგლისური ენის ცოდნა და ვინაიდან ბევრი ქვეყნის წარმომადგენლისთვის ინგლისური მშობლიური ენაა ან სრულყოფილად ფლობენ, ისინი პირდაპირი კონკურენტები ხდებიან ქართველი მეზღვაურების, რომელთა სამუშაო ადგილების დაკარგვის საფრთხე რეალური ხდება.

მთავრობის ცნობით, ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე ძირითადი კონტინგენტი შესაძლოა იყოს აზერბაიჯანის, თურქეთის, ისრაელის, დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოები (განსაკუთრებით ნიგერია) და ინდოეთი. ასევე, ინტერესი გამოხატული აქვთ კასპიის ზღვის აუზის სხვა სახელმწიფოებსაც, კერძოდ, ყაზახეთსა და თურქმენეთს.

„ამ სახელმწიფოების ინტერესები პირველ რიგში უკავშირდება არა საქართველოში განათლების მიღებას, არამედ საქართველოს მიერ გაცემულ მეზღვაურთა სამუშაო დიპლომებს (კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი), რომლებიც მათ აძლევს მსოფლიოში მცურავი ძირითადი სანაოსნო გემების 80%-ზე დასაქმების საშუალებას. ამასთან, „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის შესაბამისად, რეგულირებადი პროფესია არის საქმიანობა, რომლის განხორციელების წინაპირობა, შესაბამისი კვალიფიკაციის არსებობის გარდა, არის სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან რომლის განსახორციელებლად მოთხოვნილი კვალიფიკაციის მინიჭებისთვის აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გამოცდის ჩაბარება. საზღვაო განათლება, სამედიცინო განათლების მსგავსად, წარმოადგენს რეგულირებად პროფესიას. შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ წამყვანი საზღვაო ქვეყნების გამოცდილებას, მაგ: დიდი ბრიტანეთი, გერმანია და სხვ. აღნიშნულ ქვეყნებში განათლების მიღების შემთხვევაში, სხვა ქვეყნის მოქალაქე სამუშაო სერტიფიკატებს ვერ მიიღებს STCW კონვენციის შესაბამისად", - აღნიშნულია კანონპროექტში.

## უკრაინა

ევროკავშირმა და უკრაინამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას უკრაინის 500 მილიონი ევროთი საბიუჯეტო მხარდაჭერის შესახებ. ამ ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. დოკუმენტს ხელი მოეწერა უკრაინა-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-8 სხდომის ფარგლებში, რომელიც გუშინ ბრიუსელში გაიმართა. შეხვედრა გამართეს ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა ჟოზეპ ბორელმა და ევროკომისარმა გაფართოების საკითხებში ოლივერ ვარჰეიმ, უკრაინიდან - პრემიერ-მინისტრმა დენის შმიგალმა. „ევროკომისიამ და უკრაინამ ხელი მოაწერეს 500 მილიონი ევროთი საბიუჯეტო მხარდაჭერის ახალ პროგრამას, რაც ნაწილია სახსრებისა, რომელიც ურსულა ფონ დერ ლაიენმა დააანონსა საერთაშორისო დონორთა კონფერენციის ფარგლებში. ევროკავშირის ეს საგრანტო დაფინანსება ხელს შეუწყობს იძულებით გადაადგილებულ პირთა და დაბრუნებულთა საცხოვრებლითა და ტრენინგით უზრუნველყოფას, ასევე - სოფლის მეურნეობის სექტორს", - ნათქვამია კომუნიკეში. მედიის ინფორმაციით, ეს არის ერთ-ერთი იმ ოთხი დოკუმენტიდან, რომელიც ხელმოწერილია ასოცირების საბჭოს ფარგლებში.

* * *

- ევროპა არის ღირებულებების ქვეყანა და არა „დისნეილენდი" ტერორის მომხრეებისთვის და სავიზო შეზღუდვები ამას აუცილებლად აჩვენებს, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ. მისი თქმით, თავისუფალმა მსოფლიომ რუსეთის მოსახლეობას იმათ წინააღმდეგ მოქმედებისკენ უნდა მოუწოდოს, ვინც უკრაინაში ომი დაიწყო. „თუ რუსეთის მოქალაქეები მხარს უჭერენ ტერორს უკრაინის წინააღმდეგ, მთელი ევროპის წინააღმდეგ, თუ ჩუმად უყურებენ უკრაინის გენოციდს, მათ არ უნდა შეეძლოთ, ევროპა გასართობად გამოიყენონ. ეს მნიშვნელოვანი მორალური საკითხია", - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, ვიზებს, ფინანსურ კავშირებსა და ენერგოდამოკიდებულებას მოსკოვი ევროპის წინააღმდეგ იყენებს. „აგრესორი სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის ყოვლისმომცველი ვიზა, რუსეთთან ფინანსური კავშირები, რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება არის ყველაფერი, რასაც მოსკოვი იყენებს ევროპის წინააღმდეგ. მადლობელი ვარ იმ ევროპელი ლიდერების, რომლებიც აცნობიერებენ საფრთხის დონეს", - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ დონეცკის ოლქსა და უკრაინის სამხრეთ ნაწილში სამი დასახლებული პუნქტის გათავისუფლების შესახებ განაცხადა. „მინდა, მადლობა გადავუხადო ტერიტორიული თავდაცვის 103-ე ბრიგადის 63-ე ბატალიონის მეომრებს, რომლებმაც შედეგი უზრუნველყვეს დონეცკის ოლქში: დასახლება გათავისუფლდა. ლისიჩანსკ-სივერსკის მიმართულებით 54-ე ბრიგადამაც კარგი ნაბიჯები გადადგა, წინ წაიწია და გარკვეული სიმაღლეები დაიბრუნა", - აღნიშნა ზელენსკიმ. მისივე თქმით, 42-ე ცალკეული მოტოქვეითი ბატალიონის საბრძოლო მოქმედების შედეგად ქვეყნის სამხრეთით ორი დასახლება გათავისუფლდა. „ჩვენ გავათავისუფლებთ მთელ ჩვენს ტერიტორიას, მთელ ჩვენს ხალხს", - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

დონეცკის ოლქში უკრაინის შეიარაღებული ძალების ნაწილებმა მტრის შეტევა რამდენიმე რაიონში წარმატებით მოიგერიეს, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ინფორმაციაშია აღნიშნული. უწყების ცნობით, მოწინააღმდეგის ძალისხმევა კონცენტრირებულია დონეცკის ოლქის ტერიტორიაზე სრული კონტროლის დამყარებისთვის, ხერსონის, ხარკოვის, ზაპოროჟიეს და მიკოლაივის ოლქების მიტაცებული ტერიტორიების შენარჩუნებისთვის, ასევე შეტევის განახლების მიზნით, ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად გარკვეულ მიმართულებებზე ტაქტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობს. გუშინწინ მტერმა უკრაინის ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებზე 25 სარაკეტო და 22-ზე მეტი საჰაერო დარტყმა განახორციელა. თავდასხმის შედეგად დაზიანდა სამოქალაქო ინფრასტრუქტურა ხარკოვის, დმიტროვკას, კონსტანტინოვკას, ზელენოპოლიეს, ზაიცევოს, კოდემას, სოლედარის, მიკოლაივის, ვოზნესენსკის, ოჩაკოვის და ბეზიმიანის დასახლებებში. „სევერსკის მიმართულებით მტერმა 10-ზე მეტი დასახლების სამოქალაქო და სამხედრო ინფრასტრუქტურა დაბომბა", - აცხადებენ გენშტაბში. მათივე ცნობით, ხარკოვის მიმართულებით მტერმა დაარტყა დემენტიევკას, ნოვოეს, ოდნოროზოვკას, ბორშჩევას, სოსნოვკას, უდის, რუსკი ტიშკის, პიტომნიკის, რუსკა ლოზოვაიას, სლობოჟანსკოეს, მომოტოვოს, პეტროვკას, ბაირაკის, გუსაროვკას და ჩეპილის დასახლებებს. „სლავიანსკის მიმართულებით, ოკუპანტებმა დაბომბეს კრასნოპოლიეს, დიბროვნოს, ვერნოპოლიეს და ბოგოროდიჩნოეს დასახლებები და საჰაერო დარტყმა განახორციელეს დმიტროვკას დასახლებაზე. კრამატორსკის მიმართულებით მტერმა დაბომბა პისკუნოვკას, დონეცკის, კრივოი ლუკას, სევერსკის და სპორნოეს ტერიტორიები", - აცხადებენ უწყებაში. გენშტაბის ცნობით, რუსულმა ძალებმა ბახმუტის მიმართულებით რამდენიმე დასახლება დაბომბეს და საჰაერო დარტყმა განახორციელეს. „ავდიივკას მიმართულებით, ნაღმტყორცნებიდან და არტილერიიდან დაიბომბა დასახლებები: კრასნოგოროვკა, მარინკა, ავდიივკა და ვოდიანოე. ზაპოროჟიეს მიმართულებით მტერმა ნოვოპოლისა და ნოვოსელკას ტერიტორიები დაბომბა", - აცხადებენ გენშტაბში. უწყებაში ხაზს უსვამენ, რომ უკრაინის თავდაცვის ძალები აგრძელებენ თავდაცვით ოპერაციას, აკონტროლებენ გარკვეულ ხაზებს და ხელს უშლიან მტრის წინსვლას უკრაინის ტერიტორიაზე.

* * *

ჩვენი შეფასებით, რუსეთის ომის შედეგად უკრაინას 105 მილიარდი აშშ დოლარის ინფრასტრუქტურული ზიანი მიადგა, - აღნიშნულის შესახებ უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ოლექსანდრ კუბრაკოვმა თბილისში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე ჩართვისას განაცხადა. კუბრაკოვის თქმით, უკრაინის მხარე რუსეთისგან მიყენებული ზარალის დასათვლელად საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მსოფლიო ბანკთან ერთად მუშაობს. აღნიშნული ზიანი ეხება საცხოვრებელ სახლებს, სახელმწიფო შენობებს, მუნიციპალურ და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას - გზებს, ხიდებს, რკინიგზას, პორტებსა და აეროპორტებს. ამასთან, უნდა აღვნიშნო, რომ ჯერჯერობით სრულ ინფორმაციას არ ვფლობთ დროებით ოკუპირებული ტერიტორიებზე მიყენებული ზარალის შესახებ, წარმოიდგინეთ, იქ რა ხდება", - განაცხადა უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრმა. შეგახსენებთ, რომ თბილისში მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია „დიდება უკრაინას" იმართება. კონფერენციას მაკკეინის ინსტიტუტი საერთაშორისო ლიდერობისთვის, ჯორჯ ბუშის ინსტიტუტი და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი მასპინძლობენ და მასში ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი დონის ლიდერები მონაწილეობენ.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძე**

## უცხოეთი

სამწუხაროდ, ის, რასაც დღეს ვხედავთ, არ გვაძლევს იმედს, რომ პუტინი მზად არის უკრაინაში ომი დაასრულოს, - ამის შესახებ აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს სტრატეგიული კომუნიკაციების კოორდინატორმა ჯონ კირბიმ განაცხადა. მისივე თქმით, კონფლიქტი მხოლოდ პუტინის სურვილით ხანგრძლივდება და არა იმის გამო, რომ უკრაინას შეიარაღება მიეწოდება. „პუტინს შეუძლია ომის დასრულება დღესვე, თუ დათანხმდება ჯარების გაყვანას და შეუერთდება ზელენსკის მოლაპარაკებების მაგიდასთან, რათა განიხილოს ამ კონფლიქტის დასრულება," - აღნიშნა მან.

* * *

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან სატელეფონო საუბარში განაცხადა, რომ მის ქვეყანას უკრაინაში, ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურთან დაკავშირებით ფასილიტატორის როლის შესრულება შეუძლია. მათ განიხილეს უკრაინული მარცვლეულის ექსპორტთან დაკავშირებული საკითხები და გამოთქვეს მზადყოფნა, გეგმის მიხედვით გაგრძელდეს თურქეთში აქუიუს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა. ერდოღანი და პუტინი შეთანხმდნენ, რომ დეტალურად განიხილონ ეს საკითხები უზბეკეთის ქალაქ სამარყანდში 15-16 სექტემბერს დაგეგმილ სამიტზე.

* * *

დიდი ბრიტანეთის „კონსერვატიულმა პარტიამ" ახალ პრემიერ-მინისტრად და პარტიის ახალ ლიდერად ლიზ ტრასი აირჩია. ტრასმა პარტიის 81 326 წევრის ხმა მიიღო, ხოლო მისმა ოპონენტმა რიში სუნაკმა - 60 399 ხმა. გაერთიანებული სამეფოს პრემიერობისთვის თავდაპირველად 11 პრეტენდენტი იბრძოდა. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა გადადგომის შესახებ ივლისში, სკანდალების სერიის გამო მინისტრების პროტესტის შემდეგ განაცხადა.

* * *

პრაღის ცენტრში მრავალათასიანი აქცია გაიმართა ჩეხეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ნატოს წინააღმდეგ. საპროტესტო აქციის ორგანიზატორები ულტრამემარჯვენე და რადიკალური პოლიტიკური პარტიები იყვნენ, მათ შორის - კომუნისტური პარტიაც. მათი მოთხოვნით, ჩეხეთი, სამხედრო კუთხით, ნეიტრალური უნდა იყოს და უზრუნველყოს პირდაპირი კონტაქტები გაზის მიმწოდებლებთან, მათ შორის, რუსეთთან. აქციაში 70 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. ჩეხეთის პრემიერ-მინისტრმა საპროტესტო აქციის ორგანიზატორებს პრორუსული ძალები უწოდა, რომლებიც ჩეხეთის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ.

* * *

ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში რუსეთის საელჩოსთან აფეთქება მოხდა, - ინფორმაციას რუსული მედია ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებს. თავდასხმის შედეგად დაიღუპა სულ მცირე 10 და დაშავდა 8 ადამიანი. „ბოევიკმა ასაფეთქებელი მოწყობილობა აამოქმედა. თავდასხმის შედეგად დიპლომატიური წარმომადგენლობის ორი წევრი დაიღუპა, ასევე იყო მსხვერპლი ავღანეთის მოქალაქეებს შორის", - ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**მოამზადა**
**ია შველიძე**

# ვინ ინფიცირდება ამჟამად უმეტესად კორონავირუსით?

**მარიამ ხითარიშვილი 27 48 93**



*„კოვიდ 19“-ის პანდემია თითქოს დასრულდა, გვგონია, რომ მისი ყველა ტალღა და შტამი გადავლახეთ, მაგრამ ჩვენ ირგვლივ მაინც არიან ადამიანები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ შეხვედრიათ ეს ვირუსი. რა ვითარებაა ამჟამად კოვიდის გავრცელების მხრივ და იმატა თუ არა სამედიცინო დაწესებულებისადმი მიმართვიანობამ, ამასთან დაკავშირებით მეცნიერებათა დოქტორს, ინფექციონისტ* ***მაია ბუწაშვილს*** *მივმართეთ. საუბარში სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც გამოიკვეთა, რომლებიც აუცილებლად ყურადსაღებია...*

**- ქალბატონო მაია, როგორც ვიცით, კოვიდინფიცირებულთა რაოდენობამ ისევ იმატა...**

- დიახ, როგორც მოგეხსენებათ, მნიშვნელოვნად მოიმატა ინფიცირების შემთხვევებმა, თუმცა ეს ინფორმაცია ისე აღარ შუქდება, როგორც ადრე. შესაბამისად, იმატა შეკითხვებმაც. ვეცდები, შევაჯამო ყველაზე ხშირად რაც აინტერესებთ ადამიანებს, გულისრევა, ღებინება და ფაღარათი საკმაოდ ხშირი სიმპტომებია. ზოგჯერ არასწორად ჟღერდება, რომ ეს არის თანდართული „ენტეროვირუსი“, სინამდვილეში, ეს კოვიდის საკმაოდ ჩვეულებრივი სიმპტომებია და დამატებითი მკურნალობა არ სჭირდება, არც გადასხმა, თუ პაციენტი ადეკვატურად იღებს სითხეს. ყელის ტკივილიც, რომელიც ზოგჯერ ძალიან ინტენსიურია, კოვიდის სიმპტომია და დამატებით ანტიბიოტიკოთერაპიას არ საჭიროებს. ცხადია, თუ ტკივილი შემაწუხებელია, იბუპროფენი ან პარაცეტამოლი შეიძლება შევაშველოთ, მაღალი ტემპერატურის დროს, რომელიც, როგორც წესი, 2-3 დღე გრძელდება მხოლოდ და საჭიროებისამებრ სიცხის დამწევი შეგვიძლია გამოვიყენოთ. ფილტვის დაზიანება ბევრად ნაკლებად გვხვდება, ვიდრე წინამორბედი შტამების დროს. ამიტომ (არც ადრე იყო საჭირო, მაგრამ მით უმეტეს - ახლა), ტომოგრაფიის გაკეთება არ არის საჭირო. სწრაფი ან პისიარტესტი შეგვიძლია გავიკეთოთ სიმპტომების დაწყებისთანავე (ადრე არსებობდა რეკომენდაცია, რომ ტესტის გაკეთება დაყოვნებულიყო სიმპტომების დაწყებიდან 2-3-დღე. ახლა ასეთი რეკომენდაცია არ არის). უსიმპტომო ადამიანებმა, ვინც იყო კონტაქტში და სურთ ტესტის გაკეთება, ჯობია დაიცადონ კონტაქტიდან დაახლოებით 5 დღე.

C რეაქტიული ცილა შეიძლება მომატებული იყოს, როგორც ნებისმიერი ინფექციური დაავადების დროს და ეს არ ნიშნავს, რომ ანტიბიოტიკი გვჭირდება.

D დიმერის გაკეთება არ არის საჭირო მხოლოდ კოვიდის დიაგნოზის გამო, თუ პაციენტს ამ გამოკვლევის სხვა რაიმე ჩვენება არა აქვს.

სტატისტიკური მონაცემები არ მაქვს, მაგრამ დაკვირვება აჩვენებს, რომ ამჟამად ყველაზე მეტად ისინი ინფიცირდებიან, ვისაც ადრე არ ჰქონდა კოვიდი გადატანილი, ანუ მოსახლეობის წინა ტალღებს გადარჩენილი სეგმენტი.

**- C რეაქტიული ცილა ახსენეთ, ბოლო პერიოდში კვლევის შედეგებმა ხალხში აჟიოტაჟი გამოიწვია...**

- საქმე იმაშია, რომ ამ კვლევის შედეგზე ბევრად უფრო მეტი აჟიოტაჟია, ვიდრე მისი რეალური ფუნქცია და როლია. C რეაქტიული ცილა (CRP) არის ნივთიერება, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი წარმოქმნის ანთების საპასუხოდ. ეს არის სრულიად არასპეციფიკური ტესტი, რადგან მისი მაჩვენებელი შეიძლება მომატებული იყოს ნებისმიერი ტიპის ანთების დროს - ინფექციის (როგორც ვირუსული, ასევე ბაქტერიული), სიმსივნის, ტრავმული დაზიანების, აუტოიმუნური დაავადებების, გულსისხლძარღვთა დაავადებების და ა.შ. დროს. ამიტომ ამ მაჩვენებლის მომატება ვერ მიგვითითებს, რისგან არის გამოწვეული ანთებითი პროცესი. ძალიან მკვეთრად მომატებული C რეაქტიული ცილის მაჩვენებელმა (100-ჯერ და მეტად) შეიძლება მძიმე ბაქტერიულ ინფექციაზე მიგვითითოს, თუმცა პირდაპირი მარკერი არ არის.

C რეაქტიული ცილის მომატება ბევრს ძალიან აფრთხობს, არადა, თუ, მაგალითად, ადამიანს სიცხე აქვს, ისედაც ცხადია, რომ ორგანიზმში ანთებითი პროცესი მიმდინარეობს და C რეაქტიული ცილა მომატებული იქნება. ეს ანალიზი, ამ შემთხვევაში, პაციენტის შეფასებაში დიდ როლს არ ასრულებს. ადამიანებს, ასევე, აბნევთ სხვადასხვა ლაბორატორიაში არსებული განსხვავებული ნორმები, რაც მითითებულია ხოლმე გამოკვლევის შედეგში.

მაშინ ჩნდება კითხვა, საერთოდ რატომ ვაკეთებთ ამ კვლევას? სასურველია, ეს ანალიზი დანიშნოს ექიმმა, რომ ინტერპრეტაციაც სწორად გაკეთდეს. ექიმები მას ძირითადად ნიშნავენ იმიტომ, რომ შემდეგ დინამიკაში შეადარონ ეს მაჩვენებელი და იმსჯელონ დაავადების მიმდინარეობაზე (გაუმჯობესებაზე ან გაუარესებაზე). C რეაქტიული ცილის მომატებული მაჩვენებელი, საერთოდ, არ ნიშნავს, რომ ანტიბიოტიკი უნდა დაინიშნოს. არადა, ამას ძალიან ხშირად ვაწყდებით.

**- ხშირია ბავშვებში უმიზეზო ღებინება და ზოგადი სისუსტე, რამ შეიძლება გამოიწვიოს მსგავსი სიმპტომები?**

- ზაფხულის ცხელ დღეებში არსებობს სხეულის გადახურების რისკი, განსაკუთრებით - ბავშვებში. ასეთ დროს შესაძლებელია სხეულის ტემპერატურის აწევაც. მშობლები როდესაც ხედავენ, რომ ბავშვი კარგად არ გრძნობს თავს, სიცხეს უზომავენ და თუ ტემპერატურა მომატებულია, იწყებენ მიზეზის ძებნას და გამოკვლევებს. ასეთი შემთხვევები ახლა არაერთია, როცა ბავშვს უბრალოდ გადახურების გამო აეწია ტემპერატურა და არავითარი ინფექციური დაავადება არა აქვს.

სხეულის გადახურებამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი სიმპტომები, როგორიცაა ძლიერი საერთო სისუსტე, ზოგჯერ შეიძლება გულის წასვლაც, თავის ტკივილი, ძილიანობა, ღებინება. განსაკუთრებით საშიში სიმპტომია დეზორიენტაცია. თუ ბავშვი სითხეს ვერ იღებს ან აღებინებს, საჭირო ხდება სითხის გადასხმა. პირველი დახმარებაა გრილ ადგილას მოთავსება, ბევრი სითხის მიცემა, ცივი ტილოს დადებით სხეულის გაგრილება. გართულებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარება აუცილებელია.

სხეულის გადახურება განსაკუთრებით ადვილად ხდება ბავშვებში, რადგან ბავშვის ორგანიზმს უფრო მეტად უჭირს გარემოს მაღალ ტემპერატურასთან ადაპტირება, ოფლის გამოყოფაც უფრო ნელა ხდება და გაუწყლოებასთან დაკავშირებული მოვლენებიც უფრო სწრაფად ვითარდება. სხეულის გადახურების რისკი მატულობს მაღალი ტენიანობის პირობებში და ხშირია მოზარდებში, რომლებიც სიცხეში ვარჯიშობენ.

განსაკუთრებით საშიშია გაჩერებულ მანქანაში ბავშვის ყოფნა სიცხის დროს. აშშ-ში ჩატარდა კვლევა ამ საკითხის შესასწავლად. ყოველწლიურად აშშ-ში რეგისტრირდება ბავშვების სიკვდილის შემთხვევები მანქანაში გადახურების შედეგად. წელს 13 ლეტალური შემთხვევა დაფიქსირდა, 2021 წელს - 21.

კვლევის ავტორები ამბობენ, რომ მცირედ ჩაწეული ფანჯრები არ არის საკმარისი სხეულის გადახურების თავიდან ასაცილებლად. ამავე კვლევაში აღნიშნულია, რომ გარემო ტემპერატურა 30 გრადუსზე მაღალიც საკმარისია იმისთვის, რომ გაჩერებულ მანქანაში ბავშვის გადახურებისთვის სარისკო ტემპერატურა იყოს.

მოკლედ, გავუფრთხილდეთ ბავშვებს და მოვარიდოთ სიცხეს, განსაკუთრებით, სიცხეში გარეთ თამაშს. იმედია, ჩვენთან პარკირებულ მანქანაში ბავშვების დატოვების შემთხვევები არ გვაქვს, თუმცა ვინ იცის.

**- ბავშვების კვების რაციონზე რას გვეტყვით?**

- პაციენტებს ხშირად ვეკითხები კვების რეჟიმის შესახებ, განსაკუთრებით, როცა საქმე ბავშვებს ეხება. უმრავლეს შემთხვევაში ერთნაირი სცენარია: დედა ან ბებია ძალიან უკმაყოფილოდ აღნიშნავს, რომ ბავშვი ცუდად იკვებება. რომ ჩავეკითხები, აღმოჩნდება, რომ უკმაყოფილების მიზეზი არის ის, რომ არ ჭამს წვნიანებს. ბავშვს სახეზე აწერია, რომ ამ თემაზე ორთაბრძოლები აქვს ოჯახში გამოვლილი. რატომ არის ასეთი დაჟინებული მოთხოვნა უფროსების მხრიდან, რომ ბავშვმა წვნიანი საჭმელი მიიღოს, ბოლომდე ჩემთვის გასაგები არ არის. თუ ბავშვი (ცხადია, მოზრდილიც), ადეკვატურად იღებს საკვებს, ჭამს ბოსტნეულს და ხილს, სვამს წყალს, წვნიანი რატომ არის ასეთი აუცილებელი? ზოგისთვის ბავშვობის მწარე მოგონებაა, სუპებს რომ აძალებდნენ და მერე თვითონ აძალებს თავის შვილს, თითქოს ეს ტრადიცია მემკვიდრეობით გადადის და თან არავინ იცის, რატომ. უკვე წინასწარ ვიცი უკმაყოფილო მშობლების კომენტარი და მათ წინასწარვე მინდა ვკითხო: სუპის სარგებლობა შეიძლება დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ შეიცავს ბოსტნეულს და სითხეს, იწვევს სისავსის შეგრძნებას და წვნიანის ჭამით შეიძლება ნაკლები კალორია მივიღოთ. თუ ბავშვი ბოსტნეულსაც იღებს და წყალსაც სვამს, აუცილებლად ერთად მოხარშული რატომ უნდა მიიღოს? მით უმეტეს, რომ უმი ბოსტნეული ბევრად უფრო სასარგებლოა, ვიდრე სუპში მოხარშული და, უმეტეს შემთხვევაში, სარგებლობადაკარგული. არა მგონია, დღეს ჩვენი ბავშვების კვებაში ეს იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი. სამწუხაროდ, ბევრად უფრო მეტი და მნიშვნელოვანი არასწორი ელემენტია ჩვენი ბავშვების და მოზარდების კვების რეჟიმში.

> *ამ კვლევის შედეგზე ბევრად უფრო მეტი აჟიოტაჟია, ვიდრე მისი რეალური ფუნქცია და როლია. C რეაქტიული ცილა (CRP) არის ნივთიერება, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი წარმოქმნის ანთების საპასუხოდ. ეს არის სრულიად არასპეციფიკური ტესტი, რადგან მისი მაჩვენებელი შეიძლება მომატებული იყოს ნებისმიერი ტიპის ანთების დროს...*

# რა არის ბავშვებში ენტეროვირუსით ინფიცირების მომატების მიზეზი

**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**




ბავშვებში ენტეროვირუსით ინფიცირების მაჩვენებელმა მოიმატა. სხვა სეზონებთან შედარებით გაზრდილია სტაციონარში მიმართვიანობაც, - ამის შესახებ ბავშვთა ინფექციურ დაავადებათა სპეციალისტმა, იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს პედიატრმა ნინო სირაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ინფიცირებული პაციენტები დაახლოებით 1 კვირა თავსდებიან სტაციონარში, მწვავე ნაწლავური ინფექციის დროს კი შესაძლოა 14 დღე გაგრძელდეს მკურნალობა.

როგორც პედიატრი განმარტავს, ვირუსს ძირითადად ახასიათებს ცხელება, ღებინება და ნაწლავის ხშირი მოქმედება.

„ნაწლავური ინფექციებით ინფიცირებულების მომართვიანობა მომატებულია. ზუსტი მონაცემები არ გვაქვს, მაგრამ სხვა სეზონებთან შედარებით, წელს სტაციონარში მომართვიანობაც მომატებულია. ენტეროვირუსს სხვადასხვა სახელწოდების ვირუსი იწვევს. მას ძირითადად ღებინება და ნაწლავის ხშირი მოქმედება ახასიათებს. ვირუსი გადადის დაბინძურებული ხელის პირში მოხვედრით. კერძოდ, ინფიცირება შესაძლებელია დაბინძურებულ ზედაპირებთან შეხების შემდგომ დაუბანელი ხელის ცხვირის, პირის, თვალების ლორწოვანთან შეხებით. ასევე, მოგეხსენებათ, ზაფხულის სეზონია და ნაწლავური ინფექციების დროს აუზზე სიარული მიზანშეწონილი არ არის. თავის დაცვისთვის აუცილებელია ჰიგიენური ნორმების დაცვა. ჰიგიენური ნორმების დაცვა ბავშვებში უფრო რთულია, რაც უფრო პატარაა, მით უფრო ხშირი კონტაქტი აქვს გარემოსთან. ხშირად, ვირუსულ ინფექციას გართულებებიც ახასიათებს.

რაც შეეხება მკურნალობას, ნაწლავურ ინფექციას რეანიმაციულ განყოფილებაში მოთავსება არ სჭირდება. ძირითადად საჭიროა სიმპტომური მკურნალობა, სითხის შევსება. პაციენტები დაახლოებით 1 კვირა თავსდებიან სტაციონარში, მწვავე ნაწლავური ინფექციის დროს კი შესაძლოა 14 დღე გაგრძელდეს მკურნალობა.

სტაციონარული მკურნალობის დროს მნიშვნელოვანია ორგანიზმის სითხით შევსება. ასევე, აღსანიშნავია, რომ სტაციონარული მკურნალობის შემდეგ შესაძლოა სიმპტომები გაგრძელდეს, თუმცა ბავშვს შეუძლია მიიღოს სითხე და საკვები, მკურნალობა სახლში გააგრძელოს“, - აღნიშნავს ნინო სირაძე.

## „ევროპული სოლიდარობა“ ამოქმედდა (?)

Le Figaro იტყობინება, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცთან ონლაინშეხვედრის შემდეგ გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდების უზრუნველსაყოფად „ევროპული სოლიდარობის“ მექანიზმის შემოღება გამოაცხადა. მაკრონის განმარტებით, საფრანგეთი და გერმანია ენერგეტიკული კრიზისის დროს გაზისა და ელექტროენერგიის ურთიერთმომარაგებაზე შეთანხმდნენ, კერძოდ, პარიზი ბერლინს ელექტროენერგიის სანაცვლოდ გაზს მიაწვდის. „ჩვენ ამას გავაკეთებთ იმისთვის, რომ გერმანიასთან გაზზე ვიყოთ სოლიდარული იმ შემთხვევაში, თუ ზამთარი მძიმე იქნება და გერმანიას ეს დასჭირდება“, - განაცხადა მაკრონმა და დასძინა, რომ აღნიშნული ორივე ქვეყანაში გაზის ახალი ტერმინალების გახსნას გულისხმობს. მან ასევე თქვა, რომ უახლოეს თვეებში მთავარი საკითხი იქნება ელექტროენერგიის უწყვეტი მომარაგების უზრუნველყოფა და ენერგომატარებლებზე ფასების მაქსიმალური კონტროლი. საფრანგეთმა და გერმანიამ შესაბამისი ზომები გაზისა და ელექტროენერგიის გაძვირების პირობებში მოსახლეობის დასახმარებლად მიიღეს. ერთი მხრივ, საფრანგეთში ცდილობენ ენერგიის მოხმარება 10%-ით შეამცირონ, გერმანიაში კი, მკაცრი ზომების გარდა, ასევე მიიღეს 65 მილიარდი ევროს დახმარების პაკეტი ოჯახებისა და ბიზნესისთვის.

**ამირან ბურჯელიძე**

# ნინო ქადაგიძე: მასწავლებლობა ალესილი დანის პირზე სიარულს ჰგავს

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ჩვენი ქვეყნის მომავლის საძირკველი და ბედის განმსაზღვრელი ის თაობაა, რომლის წარმომადგენლებიც ახლა სასკოლო მერხებს უსხედან... მათ გონებრივ და სულიერ სიჯანსაღეზე ზრუნვა კი ის უმთავრესი მიზანია, პედაგოგის დანიშნულებას რომ განაპირობებს. კარგი პედაგოგი გზამკვლევია მოსწავლის, მისი მომავლის და, ამდენად, მთელი საზოგადოებისაც. რჩეული პედაგოგის გამოცდილების გაზიარება მრავალ ახალბედა მასწავლებელს სწორ გზას უჩვენებს. სწორედ ამ მიზნით მოვიხმეთ დღეს „აჭარასთან“ დიალოგისთვის ერთ-ერთი გამორჩეული პედაგოგი, მწერალი* ***ნინო ქადაგიძე,*** *რომელმაც ლიტერატურულ სარბიელზე უკვე მიიპყრო ყურადღება და თავისი ადგილიც დაიმკვიდრა, 2014 წელს გამოცემულმა მისმა მინიატურების კრებულმა „ცერცვისხელა ამბები“ მკითხველის დაინტერესება და მოწონება დაიმსახურა. გარდა ამისა, ის არის არაერთი ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული..*

**- როგორ აღიქვამთ საკუთარ თავს, ანუ რას იტყვის ნინო ქადაგიძე ნინო ქადაგიძის შესახებ?**

- ბევრს ვერაფერს ვიტყვი საკუთარ თავზე, მეც წლების განმავლობაში თანდათან ვეცნობი. ხომ ამბობენ, ერთია ადამიანს ვინ ჰგონია თავი, მეორე - სხვები როგორ აღიქვამენ მას და მესამე - სინამდვილეში ვინ არის. აი, სწორედ გარკვევის პროცესში ვარ მეც. სინამდვილეში ვინ ვარ? ალბათ, ეს გაცნობა თუ თავის შეცნობა გაგრძელდება ბოლო ამოსუნთქვამდე და მაინც არ მეცოდინება, საბოლოოდ ვინ ვარ.

**- დაბადების დღე - ფიზიკური და სულიერი, თქვენი ტრანსფორმაცია დღემდე...**

- ამ სამყაროში პირველ ივნისს შემომაბიჯებინეს ჩემდა უნებურად. წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღეა, ნინოობაა და განსაკუთრებულად მიყვარს. პირველ ივნისზე ძალიან ბევრი შემიძლია ვისაუბრო... რაც შეეხება სულიერ სახეცვლილებას, მახსენდება სახარება ბავშვებისათვის, კომიქსი. ძალიან მიყვარდა მისი კითხვა.

> ***„ლიტერატურა მაგონებს ზეთის საღებავებით შესრულებულ ტილოს, რომლის აღქმაც ძალიან ახლოდან, ასე ვთქვათ, „ცხვირის დადებით“ შეუძლებელია. ცოტა უნდა დაშორდე და მერე მიხვდები, რა წერია ამ ტილოზე. ასევეა ლიტერატურაც, გაივლის ცოტა დრო და თანამედროვე ლიტერატურული პროცესების შეფასების საშუალებაც მოგვეცემა***

მაშინ ალბათ 9-10 წლის ვიქნებოდი, ვხვდებოდი, რომ ზღაპარი არ იყო, არც მითი, რაღაც ზე-ამბავთან მქონდა საქმე. ვფიქრობ, მაშინ დავიბადე სულიერად, იმ დროიდან დავიწყე ღმერთის ძიება და დღემდე გრძელდება.

**- პედაგოგი, პროზაიკოსი, პოეტი - უკეთ რომელ სფეროში შეძელით თვითრეალიზაცია?**

- სამივე სიტყვა იმდენად ხმამაღლა ჟღერს, ცოტა მაშინებს. მე ხმადაბლა ვისაუბრებ. მასწავლებლობაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი, ზუსტად ვიცოდი, რომ გავიზრდებოდი, მასწავლებელი უნდა ვყოფილიყავი. თოჯინებს ჩამოვამწკრივებდი დივანზე, ვურიგებდი ჩემივე დაწებებულ-შეკოწიწებულ ციცქნა რვეულებს, მე ვწერდი, მე ვასწორებდი, მე ვეკითხებოდი, მევე ვპასუხობდი, თოჯინების სიას ვკითხულობდი, წიგნებს ვუკითხავდი... თუმცა არც ძალიან შორს წავსულვარ ამ თამაშიდან. როგორც მასწავლებელმა, პირველად სკოლის კარი 21 წლის ასაკში შევაღე. მაშინ ფრანგულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი მეექვსე-მეშვიდეკლასელ ბავშვებს და ზუსტად ვიცოდი, საკონტროლო წერების დროს, მაშინ შემაჯამებელ წერებს ასე ერქვა, სად მალავდნენ „შპარგალკებს“. ბავშვები გაოცებულები მიყურებდნენ ხოლმე, - როგორ ხვდებით, მას? როგორ პოულობთ, სად ვმალავთ „შპარგალკას“? - მეკითხებოდნენ, მე კი ღიმილით ვპასუხობდი, ნუ გავიწყდებათ, მხოლოდ რამდენიმე წლით ვარ თქვენზე უფროსი, სკოლა მეც გუშინ დავამთავრე-მეთქი. ძალიან რთული გამოდგა მასწავლებლობა. ალესილი დანის პირზე სიარულს ჰგავს, ფრთხილად, დაკვირვებით, შეძლებისდაგვარად შეუცდომლად უნდა იარო, რომ არ დაიღუპო არც შენ და არც მოსწავლე დაღუპო. თუმცა, ვფიქრობ, ძალიან ბევრი რამ შემეშალა და ვსწავლობ დღემდე მასწავლებლობას. რაც შეეხება პროზაიკოსობას, როგორც ზემოთ ვთქვი, ეს სიტყვაც ძალიან ყვირის. იმდენად განსაკუთრებულად მიყვარს ქართული ენა, წერა და ლიტერატურა, ვერ წარმომიდგენია, რომ არ დავწერო, ეს შეუძლებელია, თუმცა ამ ბოლო დროს იმაზე ბევრს ვკითხულობ, ვიდრე ვწერ. ესეც ძალიან საჭიროა. პოეტობა კი ნაკლებად მაშინებს, რადგან შეიძლება სულაც არ შექმნა ლექსი, მაგრამ პოეტი იყო. ჩემთვის ყველაფერი, რაც ამ სამყაროშია, ნიავის ქროლვაც, ზღვის ტალღების მიმოქცევაც პოეზიაა და ყველაზე დიდი პოეტი ღმერთია, სხვანაირად ამდენი სილამაზე როგორ უნდა შეექმნა? საბოლოოდ, გამოვდივარ დღემდე მასწავლებლობის შემსწავლელი, ქართული სიტყვის მოყვარული, პოეტური სულის ადამიანი, სულ ეს არის.

**- „ფეისბუქში“ ემოციურ პოსტებს აქვეყნებთ: „მე, უბრალოდ, ჩემთვის, ჩუმად, ხმის ჩახლეჩამდე მიყვარს ჩემი ქვეყანა, რომ ვფიქრდები, მე ვინ ვარ, რას ვაკეთებ მისთვის, ვერანაირ კეთილ საქმეს ვერ ვპოულობ“... ვერ დაგეთანხმებით, თქვენ ხომ ოცი წელია სკოლაში პედაგოგად მუშაობთ, განა ეს უკეთილშობილესი გარჯა არ არის?**

- ერთი შეხედვით კეთილი საქმეა, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვი, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ყველაზე მთავარი ისაა, როგორი მოქალაქეები გაიზრდებიან შენი მოსწავლეები, როგორი ადამიანები გახდებიან, ვისაც ვასწავლი. თუ კარგები იქნებიან, აი, მაშინ შეიძლება ვთქვა, რომ კეთილსინდისიერად გავისარჯე, ფუჭად არ ჩაიარა ჩემმა შრომამ. რთულია ძალიან...

**- „ამბობენ, გაუჭირდებათ ხოლმე და ღმერთი მაშინ ახსენდებათო, სულაც არ მგონია, რომ სწყინდეს ეს ღმერთს“ - განავრცეთ თქვენი ეს თვალსაზრისი...**

- ჰოო, ეს ამბავი ერთი ნაცნობის გამო დავწერე. მეგობარსაც ვერ ვუწოდებ. შეიძლება ის ადამიანი თვეების განმავლობაში არ მენახა, არ გვქონოდა ურთიერთობა, მაგრამ როდესაც კი რაიმე პრობლემა გამოუჩნდებოდა ან სულიერად უჭირდა, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, მომძებნიდა, ხმას მომაწვდენდა და მეტყოდა, შენთვის რომ არ მეთქვა, არ შემეძლო, ან ისე მტკიოდა, იმ წამს შენ გამახსენდი და მინდოდა მომეყოლაო.... სულაც არ მაბრაზებდა და არ მწყინდა ეს ამბავი, პირიქით, მახარებდა ხოლმე და ამიტომ დავწერე, თუ მე, უბრალო მოკვდავს, მახარებს დიდი ხნის უნახავი ადამიანი ტკივილებით სავსე რომ მორბის ჩემთან შვებისთვის, ნუგეშისთვის და ვცდილობ, შევეწიო სიტყვიერად, განა ღმერთს ეს ჩვენზე უფრო მეტად არ გაახარებს-მეთქი. თუნდაც გასაჭირში რომ მიიხედ-მოიხედო, ხელი ვერავის მოჰკიდო და ღმერთს ჩაებღაუჭო, არა მგონია, ეწყინოს. სიხარული და მწუხარება ხომ ძმები არიანო. თუ სიხარულში არა, მწუხარებაში მაინც რომ ახსენდები ვინმეს, ესეც საქმეა.

**- რამდენიმე ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული ხართ, რას ნიშნავს ეს აღიარება?**

- არ ვიცი, ალბათ, საკითხავია, ეს აღიარებაა თუ არა. ჟიური ყოველთვის სუბიექტური მგონია, თუმცა მიხარია, რა თქმა უნდა, საკუთარი თავისადმი რწმენას და თვითდაჯერებულობას მმატებს, სხვა არაფერი...



**- 2014 წელს გამოიცა თქვენი მინიატურების კრებული „ცერცვის ტოლა ამბები“, გვიამბეთ ამის შესახებ... და აქვე - რას უკავშირდება კრებულის სახელწოდება?**

- დიახ, ეს მინიატურების კრებულია და მოცულობით ცერცვს შევადარე. ამიტომაც ვუწოდე ასე - მცირე, ერთი ციდა ამბები. ძალიან მომწონს და მსიამოვნებს მინიატურის ჟანრში მუშაობა, ვცადე ცოტა ვრცელი მოთხრობების შექმნაც, დავწერე რამდენიმე, მაგრამ ჩამოვუყევი და ვშალე და ვშალე, მინიატურამდე დავიყვანე. მგონია, რამდენიმე სიტყვით უფრო ბევრს ვამბობ. თანაც ძალიან მიყვარს ჩემი მკითხველი, ხშირად მადლობა გადაუხდიათ ამა თუ იმ მინიატურის გამო, არადა არ იციან, რომ მე ვარ მათი მადლობელი. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და ჩემს ყველა მკითხველს მადლობას გადავუხდი.

**- როგორ შეაფასებდით დღევანდელ ლიტერატურულ პროცესებს, ჩვენი რეალობა რამდენად ასაზრდოებს და მოქმედებს ლიტერატურის განვითარებასა და ხარისხზე?**

- ძალიან რთული კითხვაა და ალბათ ცოტა სუბიექტური ვიქნები. მოგეხსენებათ, რა პერიოდებიც გაიარა თხუთმეტსაუკუნოვანმა ქართულმა მწერლობამ, იყო დრო და ძალიან ხშირადაც, მწერალი ერის წინამძღოლი გახლდათ, მეოცე საუკუნეში კი ცენზურისგან გადასარჩენად რა ხერხს აღარ მიმართავდნენ ჩვენი მწერლები. ოთხმოცდაათიანი წლებიდან თითქოს განთავისუფლდა ქართული სიტყვა. თავისუფლად ამოთქვეს თანამედროვე მწერლებმა სათქმელი, ზოგმა ჟარგონითაც, ქუჩურად და მგონია, ამან ცოტა გააღიზიანა მკითხველი, მაგრამ ვიცით, რომ უახლეს ლიტერატურას თანამედროვე მწერლები ქმნიდნენ და ახლაც ქმნიან. ბუნებრივია, ყველა სიმძიმე და სიხარული, რაც კი გამოვიარეთ და რასაც შემდგომ გავივლით, აუცილებლად აისახება ლიტერატურაში. ლიტერატურა მაგონებს ზეთის საღებავებით შესრულებულ ტილოს, რომლის აღქმაც ძალიან ახლოდან, ასე ვთქვათ, „ცხვირის დადებით“ შეუძლებელია. ცოტა უნდა დაშორდე და მერე მიხვდები, რა წერია ამ ტილოზე. ასევეა ლიტერატურაც, გაივლის ცოტა დრო და თანამედროვე ლიტერატურული პროცესების შეფასების საშუალებაც მოგვეცემა. სულიერად რამდენად კვებავს თანამედროვე ლიტერატურა ახალ თაობას, ამ გადმოსახედიდან თქმა ცოტა მიჭირს.

**- ხშირად გაიგონებთ, მწერლების დრო წავიდა, ისინი დინოზავრებივით გადაშენდებიანო... საერთოდ, როგორ წარმოგიდგენიათ მომავლის მწერალი?**

- ვფიქრობ, არასდროს წავა მწერლების დრო, ისევე როგორც მხატვრების, მუსიკოსების, რადგან თანამედროვე ხელოვანი მემატიანეცაა იმ ამბებისა, რაც მის გარშემო ხდება. ეს აისახება ხელოვნების ყველა დარგში. თანამედროვე ტექნოლოგიები სულაც არ უშლის ხელს ბეჭდურ პროდუქციას, პირიქით, არჩევანის დიდ საშუალებას იძლევა, ვისაც როგორ ურჩევნია, ისე წაიკითხოს. მთავარია მწერალმა, მუსიკოსმა, მხატვარმა დაწეროს, შექმნას.. მომავლის მწერალი თავისი თანამედროვეობის სახე იქნება, იმას დაწერს და იმაზე დაწერს, რაც მომავლის ადამიანების ინტერესის წყარო იქნება. სხვანაირად არ ხდება, რადგან, როგორც ენაა ცოცხალი ორგანიზმი და იცვლება საუკუნეების განმავლობაში, ასევე იცვლება ადამიანი - ხელოვანი თავისი სათქმელით, დამოკიდებულებით...

**- ადამიანები, რომელთა არსებობამ და მაგალითმა ძალა შეგმატათ?**

- ბავშვობიდან პირველად ოჯახის წევრები და ახლობლები, ნათესავები მახსენდება, რომელთა გამხნევებისა და ზრუნვის გარეშეც წარმოუდგენელია, განვითარდეს ადამიანი. ძალა შემმატა და სამყარო სხვანაირი დამანახა ჩემმა ქართულის მასწავლებელმა, ქალბატონმა მანანა ყურაშვილმა, დღესასწაული იყო მის გაკვეთილებზე დასწრება. შემდეგ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრატურაზე სწავლისას კეთილი მაგალითი იყო რამდენიმე ლექტორი, მათ შორის ცირა ბარბაქაძე, ქეთევან ბეზარაშვილი, ლევან გიგინეიშვილი...




**- რაზე სწუხართ და რა გახარებთ, დღევანდელობას როგორ აღიქვამთ?**

- რეალურადაც და ვირტუალურადაც, სოციალური ქსელი კი ამის მძაფრად დანახვის საშუალებას გვაძლევს, ვწუხვარ ადამიანების მიერ ერთმანეთის მიმართ გამოხატული უპატივცემულობის, უსიყვარულობის, დაუნდობლობის გამო, სულ მცირე ადამიანური სიკეთე კი მახარებს, ერთი ტკბილი სიტყვა, თუნდაც ის, რომ მერცხლებმა ჩემს აივანზე ბუდე გაიკეთეს, ან ჩემმა ჩარგულმა სამი წლის ატამმა წელს ერთი ცალი ნაყოფი მაჩუქა, ყოველ დილას მზის ამოსვლა ძალიან მიხარია.

**- თვისება, რომელიც ყველაზე სასურველია ადამიანისთვის?**

- ალბათ, კეთილსინდისიერება და თავმდაბლობა, ყველა ჭირის სათავე უსინდისობა და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის ქონა მგონია.

**- როცა მარტო რჩებით, რაზე ფიქრობთ უმეტესად?**

- პანდემიის გამო ამ ბოლო დროს ხშირად მიწევს მარტო ყოფნა, ეს ჩემს ბუნებრივ მდგომარეობადაც კი იქცა თითქოს - ისედაც სულ ვცდილობდი განმარტოებას. ფიქრი ძალიან მიყვარს, ახლობლები ხუმრობით „ფიქრიასაც“ მეძახიან, ვფიქრობ ყველაფერზე.

**- შეჩერდი, წამო! წამით მშვენიერების და სიდიადის აღქმა... გინატრიათ წამის შეჩერება?**

- დიახ, მინატრია ძალიან ბევრჯერ, ახლა რაც მახსენდება - პირველად ბავშვობაში ვინატრე, სიღნაღიდან ალაზნის ველს რომ გადავხედე, მინდოდა, დრო გაჩერებულიყო, სულ იქ ვმდგარიყავი და მეცქირა, არ მინდოდა სახლში დაბრუნება. ერთხელ გერგეთზე ასულმა ვინატრე წამის შეჩერება, ხევის მთებს რომ გავხედე, მაშინ მივხვდი, რომ მართლაც დახატულია ჩვენი მთა-ბარი. ერთხელ ძილში ფსალმუნის ტექსტს ვამბობდი და ისეთი ტკბილი შეგრძნება იყო... რომ გამოვიღვიძე, გაქრა და მაშინაც ვინატრე, ნეტავ, ეს შეგრძნება საუკუნოდ გაგრძელებულიყო... ხშირად, ხშირად მინატრია წამის შეჩერება.

**- როგორ ფიქრობთ, რა ტრადიცია უნდა შევინარჩუნოთ და რა უარვყოთ?**

- ძალიან მომწონს ქართული ტრადიციები, ყველა კუთხეს განსაკუთრებული და გამორჩეული წეს-ჩვეულებები აქვს, მაგრამ ყველაზე უმთავრესად და განსაკუთრებულად მართლმადიდებლური ტრადიციების შენარჩუნება მიმაჩნია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან მართლმადიდებლობა და ეროვნება ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული საუკუნეების განმავლობაში.

**- რომელი ცხოვრებისეული პრობლემის გადაწყვეტა მიგაჩნიათ დღეისათვის ყველაზე საშურად?**

- ნებისმიერი სიტუაცია, რომელიც დისკომფორტს გვაგრძნობინებს, უკვე პრობლემაა. პრობლემებს რა დალევს ჩვენს ცხოვრებაში. არსებობს სუბიექტური და ობიექტური პრობლემებიც, მაგრამ, ზოგადად, ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემების მოწესრიგება მიმაჩნია ყველაზე მნიშვნელოვნად თანამედროვე ყოფაში. პანდემიამ პირისპირ დაგვაყენა ამ სფეროში არსებული პრობლემების წინაშე და, სამწუხაროდ, უამრავი ადამიანი შეიწირა.

**- დაბოლოს, რომელი ფრაზით დაამთავრებდით ჩვენს დღევანდელ საუბარს?**

- ბევრი ფიქრის, მცდელობის, მოქმედებისა თუ მსჯელობის მიუხედავად, მაინც ყველაფერი აუცილებლად იქნება ისე, როგორც უნდა იყოს.

# „კავშირი გულთა შორის“

*აჭარასა და მის ღირსშესანიშნაობებზე შეყვარებული ამბროლაურელი პოეტი, გაზეთის „საქართველო XXI“ ყოფილი რედაქტორი, რაჭასა და ამბროლაურში მრავალი შემოქმედებითი პროექტისა და ღონისძიების ხელმძღვანელი* ***გურამ გორდეზიანი*** *ჩვენი სტუმარია.*

**- ბატონო გურამ, როგორ დაიწყო თქვენი ურთიერთობა აჭარის მთიანეთთან?**

- აჭარიდან პოეტების მიწვევას ვაპირებდი რაჭაში „მხატვრული სიტყვის სახალხო ზეიმზე“, მინდოდა როინ აბუსელიძე და გენრი დოლიძე ჩამოსულიყვნენ ჩვენთან, მაგრამ გენრიმ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა - სანამ თქვენ არ გვეწვევით ფესტივალზე „ზე-კართან“, მანამ, ჩვენი ფეხი არ იქნება რაჭაშიო! მოგეხსენებათ, გენრი გურულია და მოგეხსენებათ, გურულმა რწყილმა რაჭველი ჭიანჭველას წყლიდან ამოსაყვანად როგორ შეძრა ქვეყანა... რაღა უნდა მექნა? დავყაბულდი! ასე მოვხვდი ულამაზეს მთიან აჭარაში ფესტივალზე „ზე-კართან“. შემოქმედებითად და ადამიანური ურთიერთობების თვალსაზრისითაც, ეს მსუყე, ცოცხალი ფესტივალია, ნიჭით დაწყებული და მეგობრობით გაგრძელებული. ამ ფესტივალის ფარგლებში, რამდენიმე ლექსი მივუძღვენი აჭარას, ვარ აჭარის „საპატიო ყაბალახის“ მფლობელი. მადლობელი ვარ ამ დიდებული ფესტივალის დამფუძნებლის, ბატონ ვახტანგ ბერიძის, რომელმაც აჭარის სიყვარული მაჩუქა, ასევე, ტარიელ ფუტკარაძის და ალექსანდრე ელერდაშვილის, ანა ლაშხელის მარადიული ხსოვნა.



**- რამდენად ინტერესდებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიით?**

- არამარტო ვინტერესდები, უნდა ჩავთვალოთ, რომ მისი განუყოფელი ნაწილიც ვარ. ათვლა დავიწყოთ სიმონ კანანელის პირველი ქადაგებიდან, მოვეჭიდოთ ბაგრატოვანთა დინასტიის ისტორიულ საფუძვლებს, გადავიტანოთ ყველა ის ტკივილი, წამება, გვემა და ვაება, მერე ეს ყველაფერი გამოვაწრთოთ ზურაბ გორგილაძის ცრემლში და ჩვენ უკვე ყველა იმ პროცესის მონაწილეები ვხდებით, რაც არაფრით დაგვავიწყებს ტაო-კლარჯეთს.

**- ერთ-ერთ ფესტივალზე, მონაწილეებსა და ბავშვებს ახლად გამოცემული ლექსების კრებული უსახსოვრეთ...**

- თქვენ რომ ფაქტს იხსენებთ, ის ჩემს მეექვსე კრებულს „ოდესღაც“ ეხება. ამჟამად გამოიცა მეშვიდე კრებული „სივრცე“, რომელიც მთიანი აჭარის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბატონმა ანზორ ბოლქვაძემ ბიბლიოთეკებისათვის (ორმოცდაათი ეგზემპლარი) შეიძინა, რაც დიდი მხარდაჭერა და პოეტისათვის ერთგვარი შვებაცაა.

**- თქვენი სპონსორი და მხარდამჭერია საქართველოს პარლამენტის მაჟოტიტარი დეპუტატი რაჭალეჩხუმსა და სვანეთის მხარეში გოჩა ენუქიძე. მისი და აჭარის მთიანეთის მაჟორიტარი დეპუტატის ურთიერთობები თქვენს შემოქმედებას როგორ წაადგა?**

- დადებითად! როგორ შეიძლება ურთიერთობებმა უარყოფითი როლი ითამაშოს? ბატონი გოჩა ჩემთვის მარტო დეპუტატი არაა, ის ძმასავით მყავს და უდიდეს პატივს ვცემ. მან ჩემი ოთხი პოეტური კრებული დააფინანსა. წიგნი რომ გამოვიდა, ინფორმაცია სოციალურ ქსელში განვათავსე, რასაც სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა. მერე ბატონი ანზორი შემეხმიანა და მითხრა, რომ 50 წიგნი აჭარაში გამომეგზავნა. ისე, პოეტური გულწრფელობით რომ გითხრათ, ამ ორი დიდებული ადამიანის მხარდაჭერა ჩემს მევალეებს უფრო წაადგათ. თუმცა, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ბატონმა ანზორმა კარგი წიგნები შეუძინა ახალგაზრდობას, ყოველი ლექსი თავისუფლების უშეცდომო რუკაა! - წერო ლექსი დიდი შენაძენია, მაგრამ მთავარი ერისა და ქვეყნის სიყვარული, მისი დამოუკიდებლობისათვის, შენარჩუნებისათვის მოღვაწეობაა.

***„ მიუხედავად იმისა, რომ „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“, მე მაინც ჩემი მშობელი კუთხის წიაღში მუშაობა ვარჩიე და მგონი, მითებსაც ვამსხვრევ. მშობელ ხალხთან ისე იღვაწო, რომ ბოლოს ერისკაცად დატოვო საწუთრო, იოლი არ მგონია იყოს, მაგრამ მე სირთულეებს ვირჩევ, სულ ასე ვიქცევი ცხოვრებაში.***

**- რა გრჩებათ უპირველეს საფიქრალად?**

- იმის არდავიწყება, რომ რუსეთი ჩვენი დაუძინებელი მტერია...

**- ყველა აქტიურ შემოქმედად გიცნობთ. ამჯერად რა გეგმები გაქვთ?**

- განვახორციელეთ რამდენიმე შემეცნებითი პროექტი, მათ შორის, „ძველი დიდების ნაკვალევზე“ (ავტორი ფიქრია ცხვედიანი). პროექტის მთავარი მიზანია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საფუძვლიანი შესწავლა და იგი სრულად მოიცავს ტაო-კლარჯეთს. ამჟამად ვემზადებით ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსისათვის „მწიგნობარი 2022“.

**- გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ეროვნული მოძრაობის სათავეებთან დგახართ. რა მიზეზით დატოვეთ დედაქალაქი და მშობლიურ ამბროლაურს დაუბრუნდით?**

- მიუხედავად იმისა, რომ „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“, მე მაინც ჩემი მშობელი კუთხის წიაღში მუშაობა ვარჩიე და მგონი, მითებსაც ვამსხვრევ. მშობელ ხალხთან ისე იღვაწო, რომ ბოლოს ერისკაცად დატოვო საწუთრო, იოლი არ მგონია იყოს, მაგრამ მე სირთულეებს ვირჩევ, სულ ასე ვიქცევი ცხოვრებაში.

**- დედაქალაქში დარჩენილ შემოქმედებით წრეებში მომუშავე მეგობრებთან რა ურთიერთობები გაქვთ?**

- „კავშირი გულთა შორის“...

**- არ გვეგულება ღირსეული ქართველი, რომელიც უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს მიღმა დარჩება. თქვენი აზრი?**

- უკრაინა გაიმარჯვებს!

**- ქართული სოფლის დაცლა-დაცარიელება გრძელდება. ქართული სოფლის მომავალი აჭარისა და რაჭის ფონზე როგორია?**

- ეს საკითხი უკვე აღარაა აჭარისა და რაჭის ფონზე განსახილველი, რადგან მიგრაცია უკვე ეროვნულ პრობლემად, ლამის კატასტროფად იქცა. ვინც ამ პროცესებს საქართველოს სასარგებლოდ შემოაბრუნებს, როგორც დიდი მურმანი იტყოდა, ის იქნება „საქართველოს მესამე სვეტი“...

**- ხომ არ აპირებთ, ქართული სოფლის პრობლემებს მხატვრული ნაწარმოები მიუძღვნათ?**

- დიახ, ვაპირებ, ნაწარმოების ჩონჩხი თითქმის მაქვს. ეს ისეთი თემაა, ენის მოჩლექით ვერ დაწერ, პირდაპირი და გულწრფელი უნდა იყო, ამასთანავე, ცხენი შეკაზმული უნდა გყავდეს, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ლექსების ახალი წიგნიც საკმაოდ მწვავე პრობლემებითაა სავსე.

**- ახლად გამოცემული კრებულის ლაიტმოტივი რაა?**

- თავისუფლება! სამშობლო! სიყვარული!

**- ზურაბ ქაფიანიძეს ფრიდონ ხალვაშის სახით ჰყავდა თანამოდარდე მეგობარი. თქვენ არჩევანს ვისზე შეაჩერებთ?**

- ყველაზე, ვინც ზურაბ გორგილაძის პოეზიას მსოფლიო ლიტერატურის შედევრად აღიქვამს...

**- ფესტივალი „ზე-კართან“ ახლოვდება, გაქვთ სურვილი რომ ჩამობრძანდეთ?**

- თუ ჯანმრთელობა ხელს შემიწყობს, აუცილებლად ჩამოვალ. თუმცა მანამდე ვმუშაობ პროექტებზე, რომელიც საშუალებას მოგვცემს, აღვადგინოთ რაჭულ-აჭარული კულტურული ურთიერთობები. კიდევ ერთხელ მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ანზორს მხარდაჭერისათვის.

*მთა*

# შუახევში მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები ტარდება

***წელს შუახევის მუნიციპალიტეტში მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებზე 552 000 ლარამდე დაიხარჯება და 50-ზე მეტ ლოკაციაზე ფერდსამაგრი კედლები და გაბიონები აშენდება***



ჯაბნიძეები ის სოფელია, სადაც მეწყრული პროცესები ყველაზე მეტად აწუხებს მოსახლეობას. ერთ ლოკაციაზე უკვე მიმდინარეობს სამუშაოები, რომელსაც კონკურსში გამარჯვებული შპს „ბილდინგ რიფერსი“ (დირექტორი რამაზ ივანაძე) ასრულებს. პროექტის საკონკურსო ღირებულება 11 ათასი ლარია.

პროექტის ფარგლებში, კორძაულის უბანში, სიმონ და ომარ ივანაძეების საცხოვრებელ სახლთან მოეწყობა 9 მეტრი სიგრძის დამცავი კედელი. ხელოვნური ნაგებობა პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით, გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე შენდება.

სამუშაოებს შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე და მერის მოადგილე გურამ ზოიძე გაეცნენ.

- ჩვენი მიზანია, სექტემბერ-ოქტომბერი მაქსიმალურად გამოვიყენოთ და დაზამთრებამდე ყველა პროექტი დავასრულოთ, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

# ნივთი პატრონს დაუბრუნდა

მოხევე დავით ავსაჯანიშვილი «ჯვარიმინდორობის ფესტივალზე» პირველად იყო ჩამოსული ჩინელ მეუღლესა და ორ შვილთან ერთად. მთის პეიზაჟების, ზეიმის ეპიზოდების გადასაღებად ფოტოაპარატიც თან ჰქონდა.

მრავალფეროვანმა და საინტერესო პროგრამამ დავითსა და მისი ოჯახის წევრებს სკამზე დროებით დატოვებული ფოტოაპარატი დაავიწყათ. იგი მაშინ გაახსენდათ, როცა ბათუმში, საცხოვრებელ სახლს მიუახლოვდნენ. დავითმა შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის მირიან აბაშიძის ტელეფონი მოიძია და საქმის კურსში ჩააყენა. მან უმალვე გაარკვია, რომ ძვირად ღირებული ფოტოაპარატი აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარეს თინათინ ზოიძეს უპატრონოდ მიტოვებული ენახა და მეპატრონეს ეძებდა.

ოჯახს ფოტოაპარატი მალევე დაუბრუნდა, დავითი კეთილ ადამიანებს მადლობას უხდის.

# 29 პროექტი ხორციელდება

***ქედის მუნიციპალიტეტის 9 ადმინისტრაციული ერთეულის მეტწილ სოფელში არის ოჯახები, რომლებსაც მეწყრული პროცესები აწუხებთ.*** გასული წლების მსგავსად, წელსაც რიგი სამუშაოები განხორციელდება. შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაციისა და მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიების გატარების მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით 1 120 270 ლარის სამშენებლო სამუშაოები ხორციელდება.



მეწყრული პროცესების სალიკვიდაციოდ, სოფლებში, ძირითადად, საცხოვრებელი სახლების, ასევე, სასოფლო გზების მიმდებარედ, მონოლითური და რკინა-ბეტონის საყრდენი კედლების, გაბიონების და ფერდსამაგრი კედლების მოწყობა მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე, მეწყერსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიების ფარგლებში, 17 პროექტი, ხოლო შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, 12 ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.

# სპორტული ობიექტები შენდება

***ხულოს მუნიციპალიტეტში ინტენსიურად მიმდინარეობს სპორტული ბაზების მშენებლობა***

კურორტ ბეშუმის შემოგარენში ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული მოედანი გაკეთდა. პროექტის განხორციელებისათვის თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 60 000 ლარი დაიხარჯა.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ კვატიის მინისპორტულ მოედანს, შეკეთდება დაბა ხულოსა და სოფელ პაქსაძეების სპორტული მოედნები, მოედნები აშენდება ზორტიყელის მთაში და სოფელ ჭახაურში.

ბეშუმში დასრულებული სამუშაოები ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ მოინახულა.

**გვერდი მოამზადა**
**ოთარ ცინარიძემ**

# ფერადი ლენტებით დაწყებული ქარგვა და საქმე, რომელიც ცხოვრების სტიმულს აძლევს



ნათია იმნაიშვილი 27 48 93

*ნონა ქიზიყურაშვილი მარტოხელა დედაა, პროფესიით - ისტორიკოსი. ჰყავს ორი მცირეწლოვანი გოგონა. როგორც თავად ამბობს, მისი ცხოვრების აზრი შვილებია, ქარგვა კი ის საქმე, რაც აძლიერებს.*

**- ქალბატონო ნონა, რამ გიბიძგათ ხელოვნებისკენ?**

- ყოველდღიურობამ, სტრესმა, ამდენმა ნეგატიურმა ინფორმაციამ ცუდად რომ არ იმოქმედოს, ვცდილობ, ისეთი საქმით დავკავდე, რაც ძალიან მიყვარს, მაძლიერებს და ცხოვრების სტიმულს მაძლევს. ეს კი სწორედ ქარგვაა. აქამდეც ვქარგავდი ჯვარედინი სტილით, თუმცა ახლა ფერადი ლენტებით ქარგვა დავიწყე, რომელიც საოცრად მამშვიდებს, სხვა, ფერად და საოცნებო სამყაროში გადავდივარ, სადაც ვარ ის, რაც ვარ სინამდვილეში. თითოეულ ყვავილსა და ფოთოლს ჩემი თვალით ვაფერადებ და სულს ვუბერავ. თავიდან სუფთა ბიაზის ნაჭერზე ვქარგავდი. თავად ვხატავდი ყვავილებს, ახლა კი პრინტებზე ვქარგავ. რომელიმე მხატვრის ტილო თუ მომეწონა, ვაპრინტვინებ და მერე ვქარგავ ზედ ჩემებურად. ფერები მიყვარს ძალიან, ამიტომ ყველა ნაქარგი ფერადია, განწყობისაა. მსურს, ყველამ შეიგრძნოს, რასაც განვიცდი შინაგანად, რა ბედნიერებაც მოაქვს ამ ნამუშევრებს ჩემთვის. მინდა სიხარულის, სიყვარულისა და უსაზღვრო სითბოს ემოცია მივიტანო ადამიანების გულებამდე.

**- საიდან მოდის ხელოვნებისადმი ასეთი დამოკიდებულება და სიყვარული?**

- ხელოვნებას ბავშვობიდან ვეთაყვანები, განსაკუთრებით - მხატვრობას. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ რაღაცების კეთება შემეძლო, მაგრამ დიდხანს არ მეცალა ამისთვის. მარტო ცხოვრებამ ორი პატარა შვილით, უამრავმა პრობლემამ ლამის თვითგანადგურებამდე მიმიყვანა. უფლის წყალობით, როგორღაც ვიპოვე ჩემში იმის ძალა, რომ ფეხზე დავმდგარიყავი და რაღაც შემეცვალა.

**- რა მასალას იყენებთ ნამუშევრების შესაქმნელად?**

- თავიდან თექამ გამიტაცა, ჩემს გოგონებს თმის სამაგრებს ვუკეთებდი. მერე შევისწავლე კაპრონის წინდებიდან თოჯინების შექმნის ტექნიკა. საოცრებაა, შენს ხელში თანდათანობით რომ იკვეთება ადამიანის თითოეული ნაკვთი, თუმცა მალე დავანებე თავი, რადგან კერვა არ ვიცოდი სათანადოდ, თოჯინებისთვის ტანსაცმელი რომ მომერგო. ამის შემდეგ უნიჭიერესი ირინა ჯინჭარაძის დახმარებით შევისწავლე ლენტებით ქარგვის ტექნიკა. მას შემდეგ ვცდილობ, ჩემი სიტყვა ვთქვა ამ საქმეში და არავის დავემსგავსო.

**- დრო, როცა ქარგვა ყველაზე მეტად გაბედნიერებთ...**

- ძალიან მიყვარს ღამე ქარგვა. ბავშვებს რომ მივაძინებ და სრულ მარტოობასა და სიმშვიდეში, ჩემს ფიქრებთან ვრჩები, ვიწყებ ქარგვას. ახლა უფრო მეტი დრო მაქვს ჩემი შვილებისთვის და ჩემი შემოქმედებისთვის, იმისთვის, რომ უფრო დავიხვეწო და განვვითარდე, რადგან უფრო შორს მიმავალი გეგმები მაქვს.

# „დაუღალავად ვიშრომებ ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე საქართველოს მხარდასაჭერად“



„საქართველოში ევროკავშირის ელჩობა ჩემთვის პატივი და ასევე დიდი პასუხისმგებლობაა. ამ თანამდებობაზე დანიშვნა ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს ემთხვევა. ევროპული საბჭოს ისტორიული გადაწყვეტილება საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების შესახებ ახალ რეალობას ქმნის. ჩემს გუნდთან ერთად დაუღალავად ვიშრომებ ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე საქართველოს მხარდასაჭერად. ამ პროცესში წვლილის შეტანის შესაძლებლობა უზარმაზარი პრივილეგიაა“, - განაცხადა საქართველოში ევროკავშირის ახალმა ელჩმა პაველ ჰერჩინსკიმ მისასალმებელ მიმართვაში.

*ამირან გურიელიძე*

# „უფლებადამცველთა სკოლა“ - „საორსაში“

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

არასამთავრობო ორგანიზაცია „საორსა“ (აღმასრულებელი დირექტორი ლია ფუტკარაძე) უფლებადამცველთა პროფესიულ გადამზადებას იწყებს, რომლის ფარგლებში, ოთხი დღის განმავლობაში, ტრენინგ მოდულს „საორსას“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, იურისტი და სპეციალიზებული ადვოკატი სისხლის სამართლისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ანა თავხელიძე გაუძღვება.

ტრენინგზე განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა: გენდერული თანასწორობა, გენდერული სტერეოტიპები, გენდერული ნიშნით ძალადობა, ოჯახში ძალადობა და სხვა.

შეხვედრები ითვალისწინებს პრაქტიკულ მაგალითებს, ჯგუფურ მუშაობასა და დისკუსიას.

პროექტის „აჭარის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდა გოგონათა და ქალთა უფლებადამცველების პროფესიული გადამზადება“ ფინანსური მხარდამჭერია Women's Fund in Georgia.



# სიჩქარის გადაჭარბებისთვის სანქციები მკაცრდება

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

*მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის 40 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით გადაჭარბება, 150 ლარის ნაცვლად, 300 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს*



ეს ერთ-ერთი სიახლეა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების პროექტის ფარგლებში, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა.

მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტის ბიუროს საშემოდგომო სესიის პირველივე სხდომაზე წარედგინება. პროექტის გათვალისწინებით, იზრდება სანქცია, თუ სიჩქარის გადაჭარბებას საავარიო ვითარების შექმნა მოჰყვა, რაც პირის 300 ლარის ნაცვლად, 400 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს, ხოლო თუ სიჩქარის გადაჭარბებას სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, ასევე, ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება მოჰყვა, ჯარიმა 500 ლარის ნაცვლად, 600 ლარი იქნება.

იზრდება სანქცია 125-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვისაც. კერძოდ, სიჩქარის გადაჭარბება იმ პირის მიერ, რომელიც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას, საქალაქთაშორისო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას ან საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილ საერთაშორისო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას ახორციელებს, გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით, ნაცვლად 300 ლარისა. გარდა ამისა, დასჯადი ხდება ავტომობილის განზრახ მოცურება-მოსრიალება ან მოცურებით წრიული ბრუნვის განხორციელება - ე. წ. დრიფტი.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებებით, აღნიშნული ქმედება გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. ამასთან, თუ აღნიშნულ ქმედებას მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, ეს გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობა არ დადგება იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედება ჩადენილია კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისას.

# საქართველოს კალათბურთის ფედერაციის განცხადება

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია საქართველოსა და თურქეთის საკალათბურთო ნაკრებების მატჩზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. ის ასევე ეხმაურება თურქეთის ნაკრების წარმომადგენლების განცხადებებსაც.



„საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია გამოხატავს თავის აღშფოთებას თურქეთის ეროვნული საკალათბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის მიერ განხორციელებული პროვოკაციული ქმედებების გამო, მისი ქმედება მიმართული იყო სიტუაციის გამწვავებისაკენ, იგი არ ერიდებოდა უხამს ჟესტიკულაციას, როგორც თამაშის მსაჯების, ასევე დამსწრე მაყურებლების მიმართებით. მისმა არაეთიკურმა ქცევამ, მანამდე პრესაში და პრესკონფერენციებზე არაერთგზის გახმოვანებულმა შეურაცხმყოფელმა განცხადებებმა ზეგავლენა იქონია თურქეთის ნაკრების მოთამაშეებზე, რისი მკაფიო მაგალითიც იყო ფურკან კორკმაზის მიერ ფიზიკური აგრესიის გამოვლინება საქართველოს ნაკრების მოთამაშეებთან მიმართებაში, რასაც თან დაერთო მისი მხრიდან მუქარები და აგრესიული ქმედებები. მუქარისა და სიცოცხლის ხელყოფის გზავნილები ატაცებულ იქნა თურქეთის ნაკრების გულშემატკივართა მხრიდანაც, არაერთი ასეთი გზავნილი იქნა მიღებული საქართველოს ნაკრების მოთამაშეების მიერ. საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია მოითხოვს ფიბასგან სათანადო რეაგირებას აღნიშნულ საკითხზე, რათა მკაცრი პასუხი გაეცეს თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის შეგნებულად განხორციელებულ პროვოკაციულ საქციელს. იმავდროულად გასაკვირი და ყველა ზღვარს გადაცილებულია თურქეთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ომერ ონანის ცილისმწამებლური განცხადება პოლიციისა და საქართველოს ნაკრების მოთამაშეების მიერ მათ მოთამაშეზე თავდასხმის შესახებ. საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია მიმართავს ყველა ღონეს, რათა ძალიან მალე ნათელი მოეფინოს ომერ ონანის არასწორ და შეურაცხმყოფელ განცხადებას და იტოვებს იმედს, რომ ომერ ონანი არ ახმოვანებს ჩვენი მეგობარი ფედერაციის განწყობას ჩვენსა და ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ და ეს არის მხოლოდ მისი პირადი ინტერპრეტაცია, რომელიც არაა გამაგრებული არანაირი მტკიცებულებით და რის გამოც ვითხოვთ დროულად ჩატარდეს სპეციალური მოკვლევა სიმართლის დასადგენად.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია სრულიად ემიჯნება ყველანაირ ძალადობას. ჩვენი პოზიციაა, რომ რაც მოთამაშეებსა და მატჩის მონაწილეებს შორის ხდება, მოედნის ფარგლებს არ უნდა გასცდეს“, - ნათქვამია განცხადებაში.

*ამირან გურიელიძე*

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე
ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 5/09/22, 22 40 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „საქართველოში ათგზის ძნელია, იყო პოეტი და იყო ქალი“

## მაყვალა გონაშვილი სტუმრად – აჭარის მწერალთა სახლში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის მიერ ორგანიზებულ სალონურ საღამოზე „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“, რომელსაც აჭარის მწერალთა სახლმა უმასპინძლა, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, არაერთი პოეტური კრებულის, საბავშვო წიგნების ავტორი მაყვალა გონაშვილი ჰყავდათ მიწვეული*



თავადაც შესანიშნავი პოეტი, როგორც ქვეყნის შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელი, გვერდით უდგას ყველას, ვისაც მისი დახმარება სჭირდება. დიდია მისი წვლილი ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლების აღმოჩენასა და დაფრთიანებაში. არაერთი მნიშვნელოვანი გამოცემის რედაქტორიც გახლავთ.

ლექსების წერა 6 წლიდან დაიწყო, დღეს კი მისი არაერთი ლექსია თარგმნილი უცხო ენაზე. ჟურნალისტიკაშიც დიდი ნიჭი აღმოაჩნდა. სრულიად ახალგაზრდამ - 17 წლისამ დაიწყო ტელეჟურნალისტიკაში მოღვაწეობა წამყვანად. 20 წლისა მწერალთა კავშირის წევრი გახდა. იყო არაერთი გადაცემის ავტორი. ძალიან ბევრი საინტერესო რამ შემოუნახა ქვეყნის ისტორიას. მისი რესპონდენტები იყვნენ ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, გივი ჭიჭინაძე... ნიჭიერია, ბევრისგან გამორჩეული. ამაზე როგორც მისი შემოქმედება, ისე საზოგადოებრივი საქმიანობა მეტყველებს. თბილისის მათემატიკური სკოლის დამთავრების შემდეგ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. არაერთი პრემიის ლაურეატია, რომელთაც სულ ახლახან ორი გამორჩეული პრემია - იაკობ გოგებაშვილისა და შოთა რუსთაველის დაემატა.

ბათუმში საჩუქრებით - როგორც საკუთარი, ისე სხვათა ავტორობით გამოცემული წიგნებით გვეწვია. მათ შორისაა ქართული კლასიკის ორტომეული, ქართული კლასიკა რუსულად, რომელშიც შეტანილია ვახტანგ ღლონტის, დავით თედორაძის, როინ აბუსელიძის, ზურაბ გორგილაძის, შოთა ზოიძის, ფრიდონ ხალვაშის ლექსები... რამდენიმე წიგნი, რომელთა შორისაა ყაზახეთის ყველაზე ცნობილი პოეტის ლექსების მისეული თარგმანი, ასევე, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ქალიშვილის ლეილა ალიევას წიგნის თარგმანი, ქართული პოეზიის ორტომეული, რომელშიც თითო ქართული შედევრია შეტანილი, შესანიშნავი წიგნი „ვეფხის და მოყმის ბალადა“ 17 ენაზე, მწერალთა სახლს კი საჩუქრად გადასცა საქართველოს მწერალთა სახლის ასწლოვან თარიღს მიძღვნილი წიგნი.

მიხარია, რომ მისი ავტორობითა და ავტოგრაფით ერთი წიგნი - „უძრახი წყალი“ მეც შემხვდა. ეს არის ავტორის პირველი პროზაული კრებული, რომელშიც, მოგონებებსა და წერილებთან ერთად, შეტანილია პიესაც „ბეღურა სალორეში“. „უძრახი წყალი“ იმ წიგნებს განეკუთვნება, ერთი ამოსუნთქვით რომ წაიკითხავ, გულში სითბო გელვრება და არის ძალიან საინტერესო ქართველი ხალხისთვის. წიგნში მოგონებებია იმ დიდ ადამიანებზე, რომლებსაც ცხოვრების გზაზე შეხვედრია და ახლა ზეციურ საქართველოში განისვენებენ: ლეილა აბაშიძე, ზურაბ ქაფიანიძე, დოდო ჭიჭინაძე, მედეა ჩახავა, მარიკა ბარათაშვილი, ოტია იოსელიანი...

თუმცა ამ საგაზეთო წერილში მაყვალა გონაშვილის შემოქმედების განხილვას არ ვაპირებ და ვერც შევძლებ. აქ წაიკითხავთ, თუ როგორ მოეფერნენ მას ბათუმელები, რა უთხრეს მასპინძლებმა და რა გაიხსენა პოეტმა შეკრებილებთან.

როგორც უკვე აღვნიშნე, 6 წლისამ დაწერა პირველი ლექსი, რაც მოგვიანებით ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი შემოქმედებითი გზით გაგრძელდა. ამ რთულ გზაზე სიყვარულით სვლა არჩია, თუმცა დიდი ომებიც გადაიტანა. როცა 2004 წელს პირველად აირჩიეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, ყრილობის წინა დღეს რამდენიმე ძალიან ცნობილმა მწერალმა ურჩია, თავჯდომარის პოსტზე კენჭი არ ეყარა, რადგან მწერალთა კავშირი მაინც დაინგრეოდა... ამბობს, რომ ისინი, ვინც არჩევნებში მონაწილეობას არ ურჩევდნენ, დღესაც მისთვის უსაყვარლესი მწერლები არიან - მან აპატია. ფიქრობდა, რომ მათთან ბრძოლა უღირსი საქციელი იქნებოდა... ფეისბუქგვერდი არ აქვს - საქმის კეთება ურჩევნია. გადაწყვიტა, ეცხოვრა და ემუშავა პრინციპით - „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“ და ეს პრინციპი სწორი გამოდგა, რადგან მაშინ არ დაუპირისპირდა უამრავ ცნობილ ადამიანს.

**ვახტანგ ღლონტი, პოეტი:**

- სახელი რომ ემატებოდა, მოშურნეებიც მატულობდნენ, მაგრამ მაყვალა დარჩა სიკეთის ეტალონად. ჩვენ დიდი ხანია ვმეგობრობთ და კარგად ვიცი, რა გადავიტანეთ. ყველგან ვაჟკაცურად იდგა. მიხარია, რომ მეც მასთან ერთად ვიყავი. მაყვალა სულ პოპულარული იყო. ერთხელ ვუთხარი, შენთან ერთად აღარ გავივლი ქუჩაში-მეთქი. სულ აჩერებდნენ ან თავად აჩერებდა მოსაკითხად.

**დავით თედორაძე, პოეტი:**

- ბათუმში პირველად რომ ჩამოვიდა, 17 წლის იყო, საქართველოს ტელევიზიის თანამშრომელი გახლდათ. მაშინ ასე იოლი არ იყო იქ მუშაობა. იყო ულამაზესი. მის მომავალ მეუღლე მერაბთან ვმეგობრობდით და მხოლოდ მისთვის „გვემეტებოდა“. დღეს აქ უამრავი ხალხი მოვიდოდა, მაგრამ არავინ მოგვიწვევია. გულწრფელად ვამბობ, რომ არა მაყვალა გონაშვილი, დღეს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი არ იქნებოდა. 18 წელია, თავმჯდომარეა და ამ ხნის განმავლობაში რამდენ რამეს გაუძლო, რამდენი ომი გადაიტანა. შესანიშნავი დიპლომატი გამოდგა, ყველასთან გამონახა საერთო ენა. იცოდა და იცის თითოეული მწერლის ფასი. მადლობა მას ამისთვის, შემოქმედებაზე არაფერს ვიტყვი, ამაზე ფაქტები ღაღადებენ - გოგებაშვილის და რუსთაველის პრემიები ღირსეულად დაიმსახურა. მისი ხელმძღვანელობით გავედით საზღვარგარეთ და ისეთ ქვეყნებში, რომლებიც მანამდე არც ერთ მწერალს არ დაესიზმრებოდა. კომუნისტების დროს ერთეულები გადიოდნენ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მან ყველას გაუღო კარი. გამოვიდა არაერთი წიგნი და ყველა მისი დამსახურებაა. არ იყო შემთხვევითი, რომ სწორედ რუსთაველის პრემიის ლაურეატებმა წამოაყენეს წინადადება, რომ ეს ღირსეული პრემია მიეღო. მაყვალა დღეს ნამდვილად არის ქართული მწერლობის ჭირისუფალი.

**ლეილა ხინთიბიძე, ბათუმელი:**

- რამდენიმე წლის წინ გავიცანი მაყვალა აქ, მწერალთა სახლში - მაშინ გულშიც გავიფიქრე და მასაც ვუთხარი: ნეტავ მწერალი ვიყო, რომ თქვენთან შეხება მქონდესმეთქი. აქ სწორად ითქვა - ისე გულთბილად შეგხვდება, თითქოს შენზე უკეთესი არავინ ჰყავს. ძალიან მიყვარს, შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებ.

**მერი დიასამიძე, დროებით თურქეთში მცხოვრები (ქართულ ენას ასწავლის ჩვენებურებს):**

- ვწუხვარ, რომ აქ ძალიან ბევრ ღონისძიებას ვერ ვესწრები. სულ მესმოდა ქალბატონი მაყვალას სახელი, არც მიფიქრია, რომ ოდესმე მასთან შეხვედრის შესაძლებლობა მომეცემოდა. აქ ითქვა, თუ ერთხელ შეხვდი, მერე მას ველარ სცილდებიო, ამიტომ სულ მალე ჩემი წიგნით „სტამბოლის მოგონებები“, რომელსაც ვწერ, იმედია, მას ისევ შევხვდები.

**მამა ამირანი (ამირანაშვილი), მისი მოძღვარი:**

- დიდი ხანია, ვიცნობ. ის არის საოცრება. ამ სამყაროში ვერ მოვძებნე ისეთი სიტყვა, ვერც გამოხატვის საშუალება, რომ ჩემს მაყვალას საკადრისად მოვეფერო. აქ ზის ყვავილი, რომელიც ყველას გვეკუთვნის, ისევე როგორც ჩვენი სამშობლო - საქართველო.

**აკაკი ძნელაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე:**

- ახალგაზრდობაში, როცა ვახო ღლონტი თბილისიდან ჩამოდიოდა, ძალიან ხშირად ახსენებდა მაყვალას. მართალი გითხრათ, არ ვიცოდი, ვინ იყო. სულ მასზე საუბრობდა. მერე მქონდა ბედნიერება, სოლოლაკში გამეცნო და ეს დღე ძალიან კარგად მახსოვს.

**ლალი კონცელიძე, აჭარის მწერალთა სახლის დირექტორი:**

- აქ ბევრი ღონისძიება ტარდება, მაგრამ ეს გამორჩეულად დარჩება. მადლობა ბატონ ვახტანგს ამ შეხვედრისთვის. ქალბატონ მაყვალაზე სიტყვის თქმა არ არის ადვილი. ის ქალის იდეალთან ახლოსაა, რადგან სწორად ხედავს ცხოვრებას. ასეთები ცოტანი არიან. ის გულთბილი დამოკიდებულებით გამოირჩევა და არც მიკვირს, რომ ბევრი მტერი ჰყავს, მაგრამ უფრო მეტს უყვარს. ძალიან გამიხარდა, გოგებაშვილის პრემია რომ გადაეცა, ეს ჩემთვის ნამდვილი მწერლობის შეფასება იყო, მერე რუსთაველის პრემია და ესეც დიდი სიხარულია.

**ბელა ქებურია, პოეტი:**

- ბავშვობიდან მოვდივართ ერთად. იყო დრო, როცა ცოტათი დავშორდით ერთმანეთს. ვახტანგის მეშვეობით ისევ გადაიკვეთა ჩვენი გზები. მოკრძალება, სილაღე, სიყვარული და ყველაზე მთავარი, რაც ახასიათებს მაყვალას, არის ის, რომ კარგად არჩევს ადამიანებს. როგორ დაიცვა მან საქართველოს მწერალთა კავშირი, ამის დავიწყება არ შეიძლება.

**ინესა კიკაბიძე, ჟურნალისტი:**

- შორიდან ვიცნობ, სიახლოვე არ მაქვს. მიყვარს მაყვალა. მისი წიგნით მისი სახე დავინახე და მისი საქმით - მწერალთა კავშირი. მაყვალა, როგორც პოეტი, ცალკე სიმაღლეა, მაგრამ მან გადაარჩინა მწერალთა სახლი, უპატრონა. მან, ერთმა ქალმა, „კაცმაცუნების ხროვაში“ შეინარჩუნა ეს სახლი, რაც მისგან იყო უდიდესი გმირობა. როგორი ჩაიბარა და როგორ მოუარა, ამასაც ვხედავ.

**მაყვალა გონაშვილი:**

- ახალგაზრდობიდან მოყოლებული, გამორჩეულად მიყვარს ბათუმი. 17 წლის გოგო რომ ჩამოვდიოდი აქ, მახსოვს, როგორ მხვდებოდნენ ჩემი ძმები - ვახო და დათო. ისინი პატარა ბიჭები იყვნენ, მაგრამ იყვნენ მამაკაცები. იცოდნენ, როგორ უნდა დახვედროდნენ ქალს, როგორ დაეცვათ იგი. ძმობა იცოდნენ. გავიდა წლები და აქ რომ ჩამოვდივარ, ისევ ის განცდა მეუფლება. როინ აბუსელიძე დავინახე და გამიხარდა, რადგან უნიჭიერესი ახალგაზრდაა. ბედნიერი ვარ, რომ 2007 წელს მან პირველი ადგილი დამსახურებულად აიღო. ბედნიერი ვარ, რომ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მოდის. მზია სალვარიძე საოცრად გამორჩეულია. ცისანა ანთაძე თავისი ნიჭიერებით, ცინცხალი გონებით დღესაც ანათებს. ჩემი ბელა აქაა, მიხარია მათი დანახვა და აქ ჩამოსვლაც იმიტომ მიხარია. როცა მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ამირჩიეს, გავიფიქრე, ღმერთო, რა სასჯელისთვის მამზადებ, რომ ამხელა პატივი მერგო წილად. ამ დროს ხომ სამიზნეც ხდები. თითქოს სხვა ეპოქაც დადგა. ეს ის პერიოდია, როცა მიშა სააკაშვილი ახალი მოსულია. მწერლებზე, ინტელიგენციაზე წერენ, რომ არიან ჩარეცხილები, უნივერსიტეტიდან ლექტორებს ყრიან, აკადემიას ანგრევენ... მწერლებიც ერთმანეთს ლანძღავენ, იბრძვიან. ჩვენ გარშემო საშინელება ხდება, მართლა მძიმე დღეები გადავიტანეთ. 2007 წლის აგვისტოში შენობის გაყიდვა დააპირეს, მაშინ ხომ ყველაფერი იყიდებოდა. მე გავბედე (ახლა ალბათ ვერ გავბედავ), ვუჩივლე სააკაშვილს და კულტურის მინისტრს. იმ დროისთვის ამის გაბედვა რთული იყო... პროკურატურა „ჩაგვისვეს“ შენობაში, ექვსი თვე გვამოწმებდნენ. გამომიგზავნეს კაცი და მითხრეს, რომ უნდა შევხვედროდი შავნაბადაზე მიშას... ჩამომითვალეს, ვისთვის უნდა მეჩივლა და როგორ გავხდებოდი მათთვის მისაღები სახე. სულ მეგონა, ამერიკულ ფილმში ვიყავი, თითქოს გავრბოდი და უკან რაღაც ფეთქდებოდა. მახსოვს, მირეკავს შუაღამით ჩემი დაცვის თანამშრომელი და მეუბნება, მწერალთა კავშირის კარი გატეხესო. მეგონა, ქურდებმა გატეხეს, რადგანაც იქ განძი მქონდა შენახული, რაც ახლა უკვე მუზეუმშია. საშინელი სურათი დამხვდა - კიბეზე გდია ღვთისმშობლის ხატი, გალაკტიონის სურათი, ყველაფერი არეულია, ფანჯრიდან ყრიან ნივთებს. შევეხვეწე, ყველაფერს ნუ გადაყრით, რაც ისტორიულია, შევინახავ-მეთქი, ვაჩვენებ რაღაც ნივთებს და თან ვუხსნი, რომ ეს კონსტანტინე გამსახურდიასია. ჩემს ოთახში რომ შევედი, ვიღაც ქალი „აღასრულებდა“ გამოსახლებას... მხოლოდ ამ ქალის სახე ჩანდა,



სხვებს ნიღბები ეკეთათ. ეს ქალი მეუბნება, თქვენ რაც გინდათ, წაიღეთო. კაბინეტში ჩემი წიგნი იყო, უცებ იღებს და მეუბნება: ქალბატონო მაყვალა, დამიწერეთ ავტოგრაფიო, და მე დავწერე, უფალმა შეუნდოთ! იქვე ზის ბიჭი და ვეუბნები (მას ნიღაბი უკვე მოუხსნია), აქ ჩემი წიგნებია და თუ შეიძლება, წავიღებ-მეთქი, არაო, მპასუხობს. მერე მეუბნება: პატარა შვილი მყავსო, ხვალვე დავწერ განცხადებას და წამოვალ, როგორ ვუთხრა მას, რომ მწერალთა კავშირის დარბევაში მივიღე მონაწილეობაო... გადავიტანეთ ის დრო, როცა ძალიან შეურაცხყვეს ქართული მწერლობა. მადლობელი ვარ დღევანდელი დღისთვის, რომ ერთად ვიყავით. მადლობა ჩემს გულთბილ მასპინძლებს - ვახოს, ლალის, დათოს, თითოეულ თქვენგანს. ასე მგონია, საკუთარ სახლში შემოვდივარ.